# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 2 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 242 (63421)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge  ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika  ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

## ასე მწარედ დამიბერდი?!



### ვისთვის როგორი გოდორი ივსება?

დღეისათვის საქართველოს მეზობელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალი საპენსიო ასაკობრივი თამასა და ყველაზე დაბალი საშუალო პენსია აქვს. – თუ საქართველოში იგი 48 აშშ დოლარია, სომხეთში – დაახლოებით 65 დოლარი, აზერბაიჯანში – 106.7 დოლარი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში – 220 აშშ დოლარია. 7

## ალან ჩოჩიევი: საქართველოს ყველა ხელისუფლება პროფაშისტურია, მხოლოდ გვარსახელებშია განსხვავება 3

- ამჟამად ცრემლი კი არა, რისხვა!..
- ან კი რატომ უნდა მიენდოთ? 2



## ახალგაზრდები თვითნებობასა და სიცრუეზე აგებული აბსურდული ბრალდებებით დააპატიმრეს და დააჯარიმეს 4

## პასუხისმგებლობის ტვირთი აწევთ საკუთარი თავისა და თაობათა წინაშე

დღის კარიკატურა



სხვისი ჭირი

## ვის არ მოსწონს ერეკლეს გზა?!

„დილით სახლიდან რომ გადმოვიხედე, ჩემი მანქანა ლურჯად, თეთრად და წითლად შეღებილი დამხვდა“... 4



## ოპონენტს ჩემს წერილში ბევრი რამ სწორად ვერ გაუგია 5

## ქრისტიანობის ნაკვალევს ადევნებული ფატიმატ ტახნაევა... 6



**პოლიტწკიპურტები**

# ამჯერად ცრემლი კი არა, რისხვა!..

**მკითხველებს, ალბათ, ახლაც ახსოვთ (ცხადია, გააჩნია, ვის – როგორ!) ჭიათურელი პენსიონერი მანდილოსნის მონახულებისას პრეზიდენტის ლაწვზე ეულად ჩამოცურებული კურცხალი, ფხიზლად დადარაჯებულ ტელეკამერას რომ არ გამოეპარა და ლამის მთელი ქვეყნის დიაცობა ააქვითქვითა, – ეს რა გულიანი და მგრძნობიარე მმართველი გვყავსო!**

მაშინ პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებისწინა პერიოდი იყო, თანაც ახალნაშვიდნოემბრევი.

ამდენად, ალბათ, პრეზიდენტობის კანდიდატის პიარმენეჯერთა აზრით, საჭირო იყო ამგვარი გულის ამაჩუყებელი სცენა, თუნდაც არც მთლად ისე ოსტატურად და დამაჯერებლად გათამაშებული, როგორც ამას სააკაშვილის როლის შემსრულებელი ჰოლივუდელი ენდი გარსია იქმოდა, მაგრამ...

ამჯერად უკვე ცრემლმორეულ-გულაჩუყებული კი არა, მკაცრი და მომთხოვნი, უგულო თუ უგულისყურო ხელქვეითების რისხვა მმართველის, რეგიონებში მცხოვრები ხალხის ბედით, შეჭირვებული მოქალაქეების მძიმე ხვედრით დაინტერესებული პრეზიდენტის ხატებაა საჭირო.

ჰოდა, პირგამეხებულიც იყო გუშინწინ ქუთაისში მყოფი პრეზიდენტი – **რატომ არა აქვს ამ ლტოლვილთა ოჯახს დენიო!**



– იმიტომ, რომ ეს შენობა ჯერჯერობით მასზე არ არის იურიდიულად გაფორმებულიო, – თავს იმართლებდა ქუთაისის მერი.

– ათასგვარ კანონსა თუ ნორმატივებს რომ იშველიებთ, გულის ნორმატივის საქმე როგორ არისო, – კვლავ მრისხანებდა პრეზიდენტი.

**... თითქოს მაშინ, იმ ვადამდელი არჩევნების თარიღის გამოცხადება-დანიშვნამდე დემონსტრაციები რომ დაარბიეს, ან ლტოლვილებს დროებითი საცხოვრისიდან პოლიციის ძალის გამოყენებით, წვიმასა და ქარში ქუჩაში რომ ყრიდნენ თბილისში, ბათუმსა თუ სხვა ქალაქებში, არ არსებობდა ან არ იყო საჭირო გულის ნორმატივები!**

მაშინ, ახლანდელივით, რისხვა იყო საჭირო, ოღონდ მერ-გამგებელთა კი არა, ლტოლვილთა თუ ლამის მათ მსგავსად შეჭირვებულ დანარჩენ მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული.

**ახლა ვარდოსნებს ცრემლისა არ სჯერათ! ცრემლის დრო დადგება!**

**მთავარია, დროის მოთხოვნათა შესატყვისად ითამაშო მაინც, თუ ამგვარად ვერ იმუშავებ!**

# ან კი რატომ უნდა მიეწვიათ?

**ამ რამდენიმე დღის წინათ კოპენჰაგენში შეიკრიბნენ მსოფლიოს ასოცდაათამდე ქვეყნის ხელმძღვანელები, მათ შორის 60 სახელმწიფოს პრეზიდენტი.**

– კიდევ არ გჯერათ, რომ მიშა უკვე ჩამოწერილია, არავის სჭირდება და ამიტომაც არ იწვევენ არც ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე? – ნიშნის მოგებით ეუბნებოდა თანამოსაუბრეებს ბოლომდე აწეულ ქურთუკის საყელოში თავჩარგული კაფანდარა ტიპი.

არავინ შეპასუხებია თუ შეწინააღმდეგებია. მხოლოდ ხელი ჩაიქნიეს.

– ან კი, რატომ უნდა მიეწვიათ იქ სააკაშვილი? კოპენჰაგენში ხომ გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე, კერძოდ, ატმოსფეროში სამრეწველო საწარმოთა თბური



ნარჩენების გატყორცნის შემცირების თაობაზე უნდა ემსჯელათ?

**საქართველოს კი, მისი ხელისუფლების მტკიცების საწინააღმდეგოდ, ფაქტობრივად უმრეწველებო-უეკონომიკოდ დარჩენილს, იქ რა ესაქმებოდა?**

**სად გლობალური დათბობის პრობლემები და სად... ლამის გამყინვარებულეკონომიკიანი საქართველო?**

**რუსლან რუსია**

**სტრატეგია**

# სახალხო დიპლომატები თუ აგენტები?

**რუს ექსპერტებს 1-3 დეკემბერს თბილისში შეხვედრები უნდა გაემართათ „რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტსა“ და „ექსპერტთა კლუბში“. ამის შესახებ ერთი კვირით ადრე იყო ინფორმირებული საზოგადოება, თუმცა თბილისის აეროპორტში გზის გაგრძელების უფლება არ მისცეს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კავკასიის კვლევათა ცენტრის ექსპერტ ნიკოლაი სილაევს და რუსეთის ფედერაციის არქივის დირექტორს სერგეი მირონენკოს.**

ამით განაწყენებულმა ჯგუფის დანარჩენმა სამმა წევრმა საქართველოში შემოსვლაზე უარი თქვა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ვლადიმერ ბარანოვსკი,** ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი **ალექსანდრე მილერი** და მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორის მრჩეველი **არტიომ მალგინი** პროტესტის ნიშნად ერევნის გავლით მოსკოვში დაბრუნდნენ.

**„ჩვენ, როგორც რუსეთის მოქალაქეები, დამნაშავე ვართ იმაში, რაც ხდება. რუსეთში საქართველოს შესახებ ცოდნის დეფიციტია. თუ რუს და ქართველ ინტელექტუალურ ელიტებს შორის თანამშრომლობა არ იქნება, პრობლემები ვერ გადაწყდება“,** – აცხადებდა თბილისში გამოფრენამდე ნიკოლაი სილაევი, როცა ის ქართულ-რუსულ ურთიერთობაზე საუბრობდა. თუმცა მისი ამ ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს. მეტიც, დეპუტატი გია თორთლაძე ისე ჩაეფლო ლუსტრაციის კანონპროექტზე მუშაობაში, რომ რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულ ლამის ყველა რუსში აგენტს ხედავს.

## რუსი ექსპერტები საქართველოში არ შემოუშვეს

ქართველი კანონმდებლები ამბობენ, რომ სილაევი რამდენიმე წლის წინათ რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობდა, ამიტომაც ეჭვი შეაქვთ მის ექსპერტობაში, ხოლო გია თორთლაძემ ჯერ კიდევ მაშინ მიაკერა მას უშიშროების აგენტის იარლიყი, როცა ის ჯერ ისევ ცაში იყო და სტუმარ-მასპინძლობით განთქმული ქართველების გულთბილ დახვედრას მოელოდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მთელი დღე არაფერს ამბობდა რუსი ექსპერტების საქართველოში შემოუშვებლობაზე, ხოლო მასპინძელი ქართველი ექსპერტები ასევე უშედეგოდ ცდილობდნენ ოფიციალური ინფორმაციის მოპოვებას.

როგორც დღის ბოლოს „რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **გიორგი მოლოდინაშვილმა** „საქართველოს რესპუბლიკას“ განუცხადა, „ცენტრისთვის არაფერი იყო ცნობილი რუსი ექსპერტების აგენტობის შესახებ. ეს არც იყო ჩვენი პრეროგატივა. ჩვენ მათ ვხვდებოდით, როგორც მეცნიერები მეცნიერებს. რა მოხდა, ნამდვილად არ ვიცით. ველოდებით ექსპერტების ზარებს მოსკოვიდან“...

არ არის რთული წარმოსადგენი, რომ საქართველოს ხელისუფლების ქცევით რუსი ექსპერტები კმაყოფილები არ იქნებიან. თუმცა კმაყოფილები არიან ის ქართველები, რომლებსაც ეჩვენებათ, რომ რუსეთთან სახალხო დიპლომატიის ფარგლებშიც კი ლაპარაკი არ შეიძლება.

**რას მოუტანს საქართველოს ამგვარი პოლიტიკა და არის თუ არა ეს მართებული სტრატეგია, ამას დრო გამოაჩენს. ოღონდ იქამდე რუსული ბომბები კვლავ თუ არ ჩამოიყარა საქართველოს ციდან. ამით ვინ უფრო დაზარალდება, ქართველი ხალხი თუ „რუსეთის აგენტი“, მაგასაც ვნახავთ, მაგრამ რაღა დროს...**

**თეა მოსია**

**ისევ არჩევნები**

# რეგიონებსაც უნდა შეეხოს...

**საქართველო არჩევნებისა და აქციების მუდმივი და უწყვეტი ჩანაცვლების ადგილად იქცა, არჩევნებს (პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობისა) ყოველთვის მოსდევს მრავალრიცხოვანი აქცია და პირიქით. ისე გამოდის, რომ ხელისუფლება თავის ანკესზე ყოველთვის ერთსა და იმავე სატყუარას აგებს და ოპოზიციაც ტყუვდება ან თავს იტყუებს. ოპოზიციის ახალი სატყუარა ისევ ძველი არჩევნებია. ხელისუფლება დროსა და სივრცეში კარგად გამოცდილ მეთოდებს წარმატებით იყენებს და თანდათან შეურიგებელი პოზიცია არც ისე შეურიგებელი ხდება.**

ასეა თუ ისე, რა სიხშირითაც უნდა ტარდებოდეს ჩვენთან არჩევნები, სამწუხაროდ, არც მისი ჩატარების კულტურა, არც გარემო და, რაც მთავარია, არც შედეგი არ იცვლება იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო ცვლილებებზეც მუშაობენ ოპოზიციასთან ერთად და ახალ-ახალ იდეებსაც იგონებენ, არჩევნების ხარისხს არაფერი შველის.

როცა თბილისში, სადაც პოლიტიკური ცხოვრების ცენტრია, ასეთი ამბები ხდება, რეგიონებში როგორ იქნება საქმე, ხომ ხვდებით! თავისთავად თვითმმართველობის არჩევნები და ქალაქის თავის პირდაპირი წესით არჩევა, რისი პრეცედენტი ჯერ მხოლოდ დედაქალაქშია, ჩვენი „ალმავალი დემოკრატიისთვის“ წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ დემოკრატია მარტო ერთ ქალაქში ვერაფერი საქმეა. ამიტომაცაა, რომ ქრისტიან-დემოკრატები რეგიონებში თვითმმართველობის არჩევნების სისტემის შესაცვლელად კონსულტაციების დაწყებას ითხოვენ. ამის შესახებ პარტიის



წარმომადგენელმა ლევან ვეფხვაძემ განაცხადა და ისიც აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები ძირითადად დედაქალაქს ეხება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება რეგიონებში არჩევნების ძველი სისტემით ჩატარებას აპირებს.

***ლევან ვეფხვაძე, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია:* სამუშაო ჯგუფში დიდი დრო დაეთმო დედაქალაქის არჩევნებს, რაც შეიძლება ოპოზიციის ბრალიც იყოს. ფაქტია, რომ რეგიონებშიც ბევრი რამ არის შესაცვლელი, სერიოზული ცვლილებებია გასატარებელი გამგეობებისა და საკრებულოს მიმართ. საერთოდ რეგიონებშიც ისეთივე რეფორმაა ჩასატარებელი, როგორც თბილისში. ამიტომ მზად ვართ, კონსულტაციები დავიწყოთ უმრავლესობის წევრებთან თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით.**

ლევან ვეფხვაძის განცხადებას პარლამენტის თავმჯდომარის გაოცება მოჰყვა, რომელსაც მიაჩნია, რომ ოპოზიციას ეს საკითხი გაზაფხულზევე უნდა დაეყენებინა და არა დეკემბერში.

ისე, გასაკვირი რაა? არა მგონია, ჩვენი პოლიტიკოსების უმრავლესობა პოლიტიკური პროგნოზების გაკეთების დიდოსტატად მოგვევლინოს. ესეც რომ არ იყოს, ჩვენს ხელისუფლებას როდის რა მოუვლის თავში, ცოტა ძნელი მისახვედრია: როცა უხარია, არჩევნებია და როცა უხარია, არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად გამოსულ მშვიდობიან მოქალაქეებს ხელკეტებით და მომწამლავი გაზით არბევს.

**ანა წიწილაშვილი**

**წკეპლიკა**

# ნაგავსაყრელსა და თერთმეტსულიან ოჯახზე

**...თუ მაისის ქუთაისმა გაუწმენდავი ნაგავსაყრელი დაგახვედრა, ამასაც საპიაროდ ნუ გამოიყენებ...**

დიახ, ნაგვის პარკებსა და მათი გატანის აუცილებლობაზე, აგრეთვე ამ საქმეში იქაურ მცხოვრებთა მონაწილეობის სასურველობასა და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილის შეტანის მზადყოფნაზე ტელეეკრანიდან საუბარი ქვეყნის პრეზიდენტის საქმე არა მგონია მე, უვიცსა და გაუგებელს. საამისოდ გაცილებით დაბალი რანგის მოხელეები არსებობენ – უნდა არსებობდნენ...

სამაგიეროდ, 11-სულიანი ოჯახისთვის დასახმარებლად კი ღირდა ქუთაისს ჩაფრენა – ამ ჯერზე შენს არცთუ მცირერიცხოვან თანაშემწეებს კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი, შენთვის მოწერილი ბარათიდან მარჯვედ შეურჩევიათ ის ერთი, თუმცა პიარის სუნი აქაც იყნოსებოდა...

ნეტავ თუ გკითხა მაისის ქუთაისმა – ვინა ხარო, ნაგვის გატანაზე ამდენს რომ მელაპარაკებიო... და თუ გკითხა, შენ რა უთხარი – რომ პრეზიდენტი ვარ, არ კი ვიცი რისთვისო?..

**ლუკა გორგაძე**

თვალსაზრისი



***სარკოზი-პუტინის შეხვედრის შედეგებსა და იმაზე, როგორ აისახება პარიზი-მოსკოვის დაახლოება საქართველოს კონფლიქტური რეგიონების პრობლემების გადაწყვეტაზე, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა.***

# „საფრანგეთის მთავრობამ სარკოზი-მედვედევის 12 აგვისტოს შეთანხმების შეუსრულებლობა გადაყლაპა“

**— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით სარკოზი-პუტინის შეხვედრას და საფრანგეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაღრმავებას, მათ შორის სამხედრო სფეროში?**

— სარკოზი-პუტინის შეხვედრის მთავარი შედეგი ის არის, რომ საფრანგეთი რუსეთს შეიარაღებას მიაწვდის. ვერტმფრენმზიდის მიყიდვა და სამხედრო სფეროში ფართო თანამშრომლობის პერსპექტივა მოასწავებს, რომ საფრანგეთის მთავრობამ საქართველოს შესახებ სარკოზი-მედვედევის 12 აგვისტოს შეთანხმების შეუსრულებლობა გადაყლაპა. პარიზი მოსკოვთან თანამშრომლობაზე იმ ვითარებაში წავიდა, როცა რუსეთს არ შეუსრულებია 12 აგვისტოს შეთანხმების უმნიშვნელოვანესი პუნქტი — საქართველოდან ჯარების გაყვანის.

საფრანგეთის მოქმედება ნიშნავს, რომ იგი არსებულ ვითარებას ეგუება. ეს არაფერს კარგს არ მოასწავებს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ თავად ევროპისთვისაც. რუსეთის შეიარაღება, თანაც ისეთი მცურავი საშუალებებით, როგორიც არის ვერტმფრენმზიდი, რომელიც ალბათ ბინას შავ ზღვაში დაიდებს, კარგი ნამდვილად არ არის. ეს ის ვითარებაა, როდესაც ამბობენ, კომენტარი ზედმეტიაო. ამასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა იბადება და, ჩემი აზრით, ეს კითხვები მარტო ჩვენ არა, ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც გაუჩნდებათ.

**— რას შეიძლება ნიშნავდეს გერმანიის შემდეგ რუსეთთან საფრანგეთის „დამეგობრება“ და კიდევ რა საფრთხე შეიძლება შეექმნას ევროპას?**

— ეს ძირითადად ეხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრებს. გარდა ამისა, ევროპისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. მთელი ისტორიის განმავლობაში ევროპისა და რუსეთის ინტერესების თანხვედრა არასოდეს არ ყოფილა. რუსეთს ყოველთვის იმპერიული ზრახვები და ამბიციები ჰქონდა, ასე იყო მეფის დროს, საბჭოთა კავშირის და ელცინის დროსაც. ელცინის დროს რუსეთს ამის სურვილი კი, მაგრამ შესაძლებლობა არ ჰქონდა, დღეს სურვილიც აქვს და რუსეთს შესაძლებლობაც გაუჩნდა. 4 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გაიმართება ნატო-რუსეთის სხდომა, რომელზეც საერთოდ მოიხსნება ყველა ის შეზღუდვა, რომელიც ნატომ 2008 წლის აგვისტოს აგრესიის შემდეგ რუსეთს დაუწესა. ამ ვითარებაშიც ვცდილობ კორექტული ვიყო და ვამბობ, ეს სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან ბევრ კითხვებს ბადებს.

**— სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გარდა, ეკონომიკური კრიზისის ფონზე საუბარია ფრანგული „რენოს“ მიერ რუსული „ავტოვაზის“ გადარჩენაზე, ფრანგების მიერ რუსეთისათვის ტექნოლოგიების მიცემასა და ავტოვაზის 300 მილიონი ევროთი დაფინანსებაზე...**



— საფრანგეთის მოქმედება ჩვენთვის არის გაუგებარი, მაგრამ რუსეთისთვის გასაგებია, როგორც ჩანს, ევროპისთვისაც რაღაც მოტივაციით გასაგებია. ეს ყველაფერი ჩვენთვის არის ძნელად ასაქმელი, მაგრამ ასეთია რეალობა. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ამ რეალობის შეცვლა. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით შევხვდეთ ამ რეალობას.

**— თქვენი აზრით, საფრანგეთისა და გერმანიის რუსეთთან დაახლოება როგორ აისახება საქართველოზე?**

— როდესაც საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი დადგება, რუსეთს ნატოში უფრო მეტი მხარდამჭერები ეყოლება. დეკემბერში ნატოს გენმდივანი რასმუსენი ჩადის მოსკოვში და აქაც საუბარი იქნება ნატო-რუსეთის თანამშრომლობაზე. ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რა პოზიციას დაიკავებს საქართველოსთან მიმართებაში აშშ-ს მთავრობა და თავად ევროპის საზოგადოებრიობა.

**— დეკემბრის პირველ რიცხვებში მოსკოვიდან თბილისში რუს ექსპერტთა ჯგუფი ჩამოდის. თუ მიიღებთ მონაწილეობას რუს კოლეგებთან შეხვედრაში?**

— არა, არ დავესწრები, ვინაიდან რუს ექსპერტებთან შეხვედრას აზრი არა აქვს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, რუსები ჩამოვიდნენ და თქვან, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს გიბრუნებთო, მაგრამ ეს რომ ასე იყოს, ამის წინაპირობას ვერ ვხედავ.

**კობა ბენდელიანი**

ძველი „ნაცნობი“

***გასული საუკუნის 90-იანი წლებში ოსური სეპარატიზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „პარლამენტის“ ყოფილი ვიცე-სპიკერი ალან ჩოჩიევი რუსეთიდან გერმანიაში გაიქცა და იქ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. თუ რატომ არ „დაუფასეს“ რუსეთში ერთ-ერთ მთავარ სეპარატისტს წარსული „დამსახურება“ და რატომ გაექცა კოკოითს გერმანიაში, ამაზე „მედიანიუსს“ თავად ალან ჩოჩიევი ესაუბრება.***

# „საქართველოს ყველა ხელისუფლება პროფაშისტურია, მხოლოდ გვარ-სახელებშია განსხვავება“

— მე გერმანიაში ოფიციალური პოლიტიკური თავშესაფარი უკვე მივიღე. დეტალებზე საუბარი არ მსურს, მით უმეტეს ქართულ საინფორმაციო სააგენტოსთან.

**— თქვენ ვლადიკავკაზში ცხოვრობდით არა?**

— ვლადიკავკაზში ვცხოვრობდი.

**—რუსები გდევნიდნენ თუ კოკოითი?**

— საერთოდ, წლების განმავლობაში ქართული სპეცსამსახურები მდევნიდნენ. ჩემს ფიზიკურ განადგურებას ითხოვდნენ როგორც ზვიად გამსახურდია, ისე ედუარდ შევარდნაძე. თუმცა, შემდეგ ქართველებს „დავავიწყდი“. 2008 წლის აგვისტოში ჩემს სახლში შემოიჭრნენ შეიარაღებული პირები და მე მეძებდნენ. ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, სახლში არ ვიყავი. ეს ხალხი სამხრეთ ოსეთიდან იყო. სხვა დეტალებზე არაფერს ვიტყვი.

**— არა, უბრალოდ საინტერესოა, რას გერჩოდათ კოკოითი.**

— ჩემი აზრით, სამხრეთ ოსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია 3 წლის წინათ გამოქვეყნებულმა ჩემმა წერილმა. 2006 წელს სამხრეთ ოსეთში ჩატარდა რეფერენდუმი რესპუბლიკის სტატუსის შესახებ. პარალელურად, ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. წერილში ვწერდი, რომ რეფერენდუმისა და არჩევნების პარალელურად ჩატარება უკანონო იყო. ამის შემდეგ, ჩემმა დევნამ ინტენსიური ხასიათი მიიღო.

**— და მხოლოდ ამის გამო დაგიპირისპირდათ კოკოითი?**

— მე კონკრეტულ გვარ-სახელებს არ დავასახელებ. ისე, ჩემი დევნა უფრო ადრე დაიწყო.

**— კერძოდ?**

— 2003 წელს მე, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტოლოგმა, გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც ვითხოვდი, რომ საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გასამართლებულიყო პროფაშისტური პოლიტიკის გამო, რასაც ის ახორციელებდა ეროვნული უმცირესობების, კერძოდ კი, ოსების მიმართ. ეს ჩრდილოეთ ოსეთის პროკურატურამ ეროვნული შუღლის გაღვივებად ჩათვალა და დამაპატიმრეს. ციხიდან 2006 წელს გამოვედი.

**— ისე შევარდნაძის ფაშისტობაში დადანაშაულება მართლაც ანეკდოტურია.**

— საერთოდ, საქართველოს ყველა ხელისუფლება პროფაშისტურია, უბრალოდ გვარ-სახელებშია განსხვავება. თუმცა, ამაზე დისკუსიის დრო ახლა არ მაქვს.

**— სანამ გერმანიაში გაქცევას გადაწყვეტდით, რუსულ სამართალდამცავ სტრუქტურებს არ მიმართეთ?**

— მივმართე და მათ სათანადო რეაგირება რომ მოეხდინათ, ახლა გერმანიაში არ ვიქნებოდი.

**— პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად ხანგრძლივი პროცედურების გავლა დაგჭირდათ?**

— არც თუ ისე ხანგრძლივი. მე ცოტა ხანი სლოვაკიაში ვიყავი და იქიდან გადავედი გერმანიაში.

**— დარწმუნებული ხართ, რომ მანდ კოკოითი ვერ მოგწვდებათ?**

— აქ უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს.

წინ არჩევნებია

***ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მომავალ არჩევნებში 30-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერი იქნება. ცნობილია ისიც, რომ არჩევნებში „ალიანსი საქართველოსთვის“ მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 50-პროცენტიანი ბარიერის დაწესებას ითხოვდა და წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოიკოტით იმუქრებოდა. საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა „ალიანსიდან“ სოზარ სუბარმა არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილება ოპოზიციის სხვა ლიდერების არაკონკურენტუნარიანობით ახსნა. მან ისიც აღნიშნა, რომ 30-პროცენტიანი ბარიერის დაწესებაში ხელისუფლების მთავარი მოკავშირე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო და ედპ ხელისუფლების თამაშს თამაშობს. როგორც „მედიანიუსს“ ედპ-დან პარლამენტის წევრმა გურამ ჩახვაძემ განუცხადა, „ალიანსს“ გარიგება და შეთანხმება ერთმანეთში ერევა და საერთოდაც, ამ ორგანიზაციის ზემოხსენებული განცხადებები „ალიანსის“ პოლიტიკური თამაშის ინტერესებს ემსახურება.***



# „ალიანსს საქართველოსთვის“ ოპოზიციური ფლანგის მონოპოლიზება სურს

— სოზარ სუბარს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის იყო 0-პროცენტიანი ბარიერი და ხელისუფლება მხარს ამ ბარიერს უჭერდა. ბარიერის აწევას საარჩევნო ჯგუფში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია უჭერდა მხარს, ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ ზოგს 30-პროცენტიანი ბარიერი სურდა, ზოგს — 50-პროცენტიანი, ზოგს კი — 33-პროცენტიანი. მოხდა შეთანხმება 30-პროცენტიან ბარიერზე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ თბილისის მომავალი საკრებულო დაკომპლექტდება პროპორციული სიით არჩეული 25 დეპუტატით, 25 კი — მაჟორიტარით. აქამდე არსებული კანონმდებლობით, გამარჯვებულ პარტიას ყველა მანდატი მიჰქონდა. რაც შეეხება ხელისუფლებასთან გარიგებას, — ეს იყო შეთანხმება და არა გარიგება და სხვაობა „ალიანსში“ კარგად უნდა ესმოდეთ.

**— და თუ ესმით, მაშინ რატომღა ადანაშაულებენ ედპ-ს ხელისუფლებასთან გარიგებაში?**

— „ალიანსი“ საარჩევნო ჯგუფის მუშაობაში ყველაზე ბოლოს ჩაერთო და ეს გამოიყენეს პოლიტიკური თამაშებისთვის. ამაში დარწმუნებული ვარ.

**— კერძოდ?**

— კერძოდ, „ალიანსს“ სურს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ თვითონ არის ერთადერთი და განუმეორებელი, მხოლოდ მათ კანდიდატს აქვს მაღალი რეიტინგი და ოპოზიციურ ფლანგზე კონკურენციის გარეშე არიან. მათ ოპოზიციური ფლანგის მონოპოლიზება სურთ. „ალიანსში“ გაწევრიანებულ რიგ პარტიებს ადრეც ჰქონდათ მცდელობა, რომ ერთადერთ ოპოზიციურ ძალად წარმოჩენილიყვნენ. ეს მცდელობა სხვა პოლიტიკურ ძალებსაც ჰქონდათ და როგორც წესი, ეს ცუდად მთავრდებოდა ხოლმე. უსაფუძვლო ურთიერთბრალდებებს და პოლიტიკურ თამაშებს კარგი შედეგი არასოდეს მოაქვს.

**— „ალიანსის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი მერისა და საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობას თუ არ მიიღებენ, დანარჩენი ოპოზიციის 2-3-პროცენტიანი კანდიდატები მოქმედ მერთან გიგი უგულავასთან უშანსოდ დამარცხდებიან.**

— არ არის ასე. თუ პოლიტიკურ ძალას აქვს დიდი ამბიციები, მაშინ მან ყველა საარჩევნო პროცესში უნდა მიიღოს მონაწილეობა. სხვანაირად, ეს ძალა ჩიხში აღმოჩნდება. მეორეც, ჩვენი დასავლელი მეგობრებიც მიიჩნევენ, რომ არჩევნებში მონაწილეობას ალტერნატივა არ აქვს. ეს, ალბათ, კარგად იციან „ალიანსში“. უბრალოდ, როგორც აღვნიშნე, მათ ოპოზიციური ფლანგის მონოპოლიზება სურთ და ამას ემსახურება ის განცხადებები, თითქოს „ალიანსის“ გარდა არც ერთ სხვა პარტიას შანსი არ აქვს.

**— დავაზუსტებ: ედპ-ს ეყოლება მერობის თავისი კანდიდატი მომავალ არჩევნებში?**

— ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მერისა და საკრებულოს არჩევნებში. ჩვენ გვეყოლება საკუთარი კანდიდატურა თუ სხვა ფორმით მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას, ეს უახლოეს მომავალში გაირკვევა. აქტიური კონსულტაციები გვაქვს კოლეგებთან და წინასწარ რაიმე განცხადებების გაკეთება არ გვინდა.

**— ის მაინც გვითხარით, რომელ პარტიებთან გაქვთ კონსულტაციები.**

— უახლოეს მომავალში ყველაფერს ოფიციალურად განვაცხადებთ.

მიმართვები

# ახალგაზრდები თვითნებობასა და სიცრუეზე აგებული აბსურდული ბრალდებებით დააპატიმრეს და დააჯარიმეს

23 ნოემბერს პარლამენტის წინ თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსის გ. გეგეჭკორის უშუალო ხელმძღვანელობით დაჩი ცაგურიას, ჯაბა ჯიშკარიანისა და ირაკლი კორძაიას დაპატიმრება, შემდეგ კი სასამართლოს მიერ თვითნებობასა და სიცრუეზე აგებული აბსურდული ბრალდებებით მათი დაჯარიმება 500-500 ლარით, სხვა არაფერია, თუ არა ხელისუფლების მხრიდან კანონისა და მორალის ცინიკური ხელყოფა, ფაქტობრივად, მოქალაქეთა დაშინების მიზნით უხეში ძალის დემონსტრირება და მოქალაქეთა ელემენტარული უფლებების დათრგუნვა. უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების მხრიდან ახალგაზრდების მიმართ კონსტიტუციით გათვალისწინებული შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების უფლებათა დარღვევა აღიარა საქართველოს სახალხო დამცველმაც, თუმცა ჯერჯერობით არ ჩანს, რა ქმედითი ღონისძიებები მოჰყვება ამას თვითონ სახალხო დამცველის მხრიდან.

როდესაც საქართველოს პარლამენტი ღებულობდა კანონს შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, იმთავითვე ცხადი იყო, რომ ხელისუფლებას ამოწურული ჰქონდა საზოგადოებასა და პოლიტიკურ ოპონენტებთან კონსტრუქციული ურთიერთობის რესურსი, მას სურდა მკვეთრად შეეზღუდა საზოგადოების მიერ საპროტესტო განწყობილებების გამოხატვა და რეპრესიული მანქანის გასაძლიერებლად სჭირდებოდა საკანონმდებლო საფუძველი. ამ „კანონზე“ დაყრდნობით, ხელისუფლება რეპრესიულ მანქანას მისთვის დამახასიათებელი სისასტიკით, უნდა ვიფიქროთ, მომავალშიც გამოიყენებს. მოცემულ შემთხვევაში კი საგულისხმო ისაა, რომ დ. ცაგურიას, ჯ. ჯიშკარიანსა და ი. კორძაიას თვით ეს უსამართლო „კანონიც“ კი არ დაურღვევიათ.

შეხვედრის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ თუ საზოგადოება არ აღიმაღლებს ხმას ამ ერთი კონკრეტული უკანონობის წინააღმდეგ, იგი იქცევა იმ პრეცედენტად, რომელსაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უსათუოდ მოჰყვება საზოგადოების საპროტესტო განწყობის ჩახშობა გაცილებით უფრო სასტიკი და მასშტაბური მეთოდებით. უკანასკნელ წლებში სააკაშვილის ავტოკრატიული მმართველობის წყალობით საქართველომ ამ მხრივ უკვე დააგროვა „მდიდარი“ გამოცდილება.

2009 წლის 26 ნოემბერს თბილისის კინოს სახლში „ქართული აკადემიის“ ინიციატივით შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციები

# პასუხისმგებლობის ტვირთი აწევთ საკუთარი თავისა და თაობათა წინაშე

შემაშფოთებელი ცნობები მოდის ბათუმიდან. ხელისუფლებამ უკვე აშკარად და დაუფარავად მიიტანა იერიში ილია ჭავჭავაძის ძეგლზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა ილიას სახელისა და ნაღვაწის შეურაცხყოფა.

როგორც ჩანს, ახალი დროის ჩინოვნიკებს ილიას სახელი ეპატარავათ ამ ადგილისათვის და მათთვის ჩვეულ მანიპულაციებს მიმართეს. ნამდვილად არ დავიჯერებდით, საკუთარი თვალით რომ არ გვენახა ქსეროასლები იმ პირთა ხელმოწერებისა, რომლებიც მოითხოვენ ძეგლის აღებასა და მის გადატანას თეატრის უკან (ასე ვთქვათ, „მოფარებულში“). ხელის მომწერთა შორის არიან საქართველოს სახალხო არტისტები, საქართველოსა და აჭარის დამსახურებული არტისტები. კიდევ უფრო უცნაურია (მეტი რომ არა ვთქვათ) ის, რომ ამ საქმის ორგანიზატორად მოგვევლინა თეატრის მმართველი ზაზა ხალვაში, – რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ცნობილი პოეტის ფრიდონ ხალვაშის ვაჟი, – რომელმაც ძეგლის გადატანის მომხრეთა შორის ჟურნალისტებს საკუთარი მამაც დაუსახელა (ბატონმა ფრიდონმა საჯაროდ უარყო ამ საქმეში თავისი მონაწილეობა).

ნაცვლად იმისა, რომ ბათუმელმა თეატრალებმა იამაყონ თეატრის წინ მდგარი ილიას ძეგლით, ხოლო მისი გადატანის მოსურნეთა წინააღმდეგ ხმა აღიმაღლონ, თვითონ გამოდიან ძეგლის გადატანის ინიციატორებად. ჩვენთვის მოულოდნელი და გაუგებარია მათი ამგვარი საქციელი. ქართული თეატრი საზოგადოდ და, კერძოდ, ბათუმის თეატრი დღიდან მისი დაარსებისა, ყოველთვის იდგა ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფადობის სამსახურში. ამდენად, ბათუმის თეატრის დღევანდელ შემადგენლობას აწევს პასუხისმგებლობის ტვირთი არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ იმ თაობების წინაშეც, რომლებმაც, თეატრალურ ოსტატობასთან ერთად, სწორედ ამგვარი ეროვნული და მოქალაქეობრივი პოზიციის გამო დაიმსახურეს საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა.

ბათუმელი თეატრის მოღვაწეები, – ჩვენი ახლობლები და კოლეგები, – არ გვემეტებიან საძრახ საქმეში გასასვრელად. საუკეთესო გამოსავლად კი ის მიგვაჩნია, რომ მათ საზოგადოებას გულწრფელად განუმარტონ, თუ რა მოტივაციით მიიღეს ამგვარი გადაწყვეტილება.

„ქართული აკადემია“

**აბაშიძე ზაზა, ანთელავა გიორგი, არაბული ავთანდილ (ავთო), ბათიაშვილი გიგა, ბურჯანაძე გია, გამყრელიძე ერეკლე, გოცაძე თეიმურაზ (თემო), ბაგრატიონ-გრუზინსკი ბადრი, დავითულიანი აველინა, დოლიძე გელა, დოლიძე მამუკა, ზაალიშვილი მალხაზ, კიღურაძე ივანე (ვანო), მარსაგიშვილი თამაზ, მეზონია ჯემალ, მგალობლიშვილი ნოდარ, მელქაძე ოთარ, მრელაშვილი ზაზა, ნადირაშვილი შოთა, ნათაძე მაია, ნანეიშვილი თემურ, სანაძე თენგიზ, ქავთარაძე გოგი, ქანთარია ალექსანდრე (ნუკრი), ქარქაშაძე დავით, ჩაგელიშვილი გიორგი, ჭანკვეტაძე ნინელი, ჭუბაბრია გია, ხარაზიშვილი ალექსანდრე (საშა), ჯანაშია მარინა, ჯანდიერი კოტე, ჯიბლაძე მერაბ, ჯოლოგუა თამაზ, ბათიაშვილი ირაკლი (საპატიო წევრი).**

22.11.2009

პროტესტი

„დილით სახლიდან რომ გადმოვიხედე, ჩემი მანქანა ლურჯად, თეთრად და წითლად შეღებილი დამხვდა“...



# ვის არ მოსწონს ერეკლეს გზა?!

**ერეკლე მეორის საზოგადოება აღშფოთებულია იმ ზეწოლის გამო, რასაც ხელისუფლება ორგანიზაციის წევრებსა და მათ ახლობლებზე ახორციელებს. ამის გამო ერეკლე მეორის საზოგადოების ოფისში საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა.**

ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარის **არჩილ ჭყოიძის** განცხადებით, უკვე რამდენიმე თვეა ორგანიზაციას მხარს უჭერენ და მის მიერ გამართულ ღონისძიებებში მცხეთელი მოქალაქეები მონაწილეობენ. 7 ნოემბერს – ერეკლე მეორის დაბადების დღეს, საზოგადოებამ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, მცხეთაში საფეხბურთო ტურნირი გამართა, იქვე დარიგდა გაზეთი „ერეკლეს გზა“, რამაც, ჭყოიძის აზრით, ხელისუფლება გააღიზიანა, რომლისთვისაც მიუღებელია ნებისმიერი მოწოდება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისაკენ. მატჩის შემდეგ ტურნირში მონაწილე ბავშვთა ზოგიერთი მშობელი გაუფრთხილებიათ – აღარ გაუშვათ შვილები ერეკლე მეორის საზოგადოების ღონისძიებებზეო.

**27 ნოემბერს ჩვენი საზოგადოების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების მიერ გამართულ საღამოში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ორგანიზაციის აქტივისტმა, მცხეთელმა თემურ თვალიაშვილმა მონაწილეებს გაზეთ „ერეკლეს გზის“ ბოლო ნომერი დაურიგა. 27 ნოემბერსვე ღამით, უცნობმა პირებმა რუსეთის დროშის ფერებში გადაღებეს ბატონი თემურ თვალიაშვილის კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც მცხეთაში მის საცხოვრებელ კორპუსთან, აღმაშენებლის 101-ში იდგა. ამავე დღეს, მიზეზის აუხსნელად სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე არ გაატარეს ორგანიზაციის კიდევ ერთი მხარდამჭერი. რამდენიმე დღის წინათ, ერეკლე მეორის საზოგადოების რამდენიმე წევრის ოჯახში ერთდროულად მივიდნენ უბნის რწმუნებულები, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს განსხვავებული აზრის ჩასახშობად, – აღნიშნა ჭყოიძემ.**

პრესკონფერენციაზე ხაზი გაესვა იმას, რომ ხელისუფლება მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ერეკლე მეორის საზოგადოებამ სანქცირებული მიტინგი გამართა ტელეკომპანია „იმედის“ შენობასთან და გააპროტესტა ამ კომპანიის მიერ გადაღებული ფილმი, რომელშიც აუგად იყო მოხსენიებული რუსეთის პატრიარქი კირილი. ერეკლე მეორის საზოგადოების აზრით, დაუშვებელია სხვა ერების სასულიერო ლიდერების ლანძღვა იმის მიუხედავად, მართლმადიდებელი პატრიარქი იქნება, ებრაელი რაბინი თუ მუსლიმანი მუფტი ან აიათოლა.

პრესკონფერენციაზე **თემურ თვალიაშვილმა** დაგმო თავისი მანქანის გადაღებვის ფაქტი:

**– დილით სახლიდან რომ გადმოვიხედე, დავინახე, ჩემი მანქანა ლურჯად, თეთრად და წითლად შეეღებათ. ვფიქრობ, ეს ყველაფერი იმ ქმედების გაგრძელებაა, რაც ორიოდე თვის წინათ, სტალინის ძეგლს დამართეს გორში, ისიც ანალოგიურად შეღებეს.**

თემურ თვალიაშვილის საქმეს მცხეთელი სამართალდამცავები იძიებენ. საქმის გახსნის იმედი ბატონ თემურს არ აქვს. სიმართლე მხოლოდ მაშინ გაირკვევა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვლება.

ერეკლე მეორის საზოგადოება კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ იგი პოლიტიკური ორგანიზაცია და ძირითადად ორ ქვეყანას შორის სახალხო დიპლომატიის აღდგენას ემსახურება. მათი მთავარი მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ქართველ და რუს ხალხებს შორის ძმური ურთიერთობის აღდგენა.

**ნატა ნიბლაძე**

რეპლიკა

# სამწუხაროა ფრიად!

**დიდად სასიამოვნო და გასახარი მოვლენათაგან, მინდა გამოვყო ორი დიდებული ზეიმი (სხვანაირად არ შემიძლია შევაფასო!), რომელიც თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა. ეს გახლდათ დიდებული ნანი ბრეგვაძისა და სუხიშვილების კონცერტები. ნანის, ამას წინათ, ჩვენს გაზეთში უკვე მოვეფერეთ და ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებ, მაგრამ არ შემიძლია აღფრთოვანება არ გამოვხატო სუხიშვილების მისამართით.** საქართველოს უნდა ეამაყებოდეს (და ეამაყება კიდევაც!), რომ ქართულ ხალხურ და, საერთოდ, ეროვნულ კულტურას ისეთი ბურჯი უდევს საფუძვლად, რომელიც, მადლცხონებულმა ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა ჩაჰყარეს! კიდევ უფრო გასახარი და საამაყოა, რომ მათს ტრადიციებს, ასე სახელოვნად აგრძელებენ შემდგომი თაობის სუხიშვილები!



...ამას წინათ სატელევიზიო პროგრამა „ნანუკას შოუს“ სტუმრობდნენ უმცროსი ნინო და ილიკო სუხიშვილები! გადაცემაშიც ნათლად გამოჩნდა მათი უშუალობა, ნიჭი და შემართება! ბედნიერება მქონდა დავესწრებოდი კონცერტს და მეყურებინა გადაცემისთვისაც, მაგრამ ელდა მეცა, როდესაც გადაცემის წამყვანმა, ნანუკა ჟორჟოლიანმა ჰკითხა მოწვეულ სტუმრებს, რატომ ვერ ტარდება სუხიშვილების კონცერტები უფრო ხშირად და, აპირებენ თუ არა რეგიონებში გასვლას? პასუხი ერთობ დასანანი იყო:

– ფინანსური მხარე ყოველთვის არ არის საკმარისი!

საოცარია! მაშინ, როდესაც „რივერ დანსების“ მეორეხარისხოვანი დასისა და სხვა ათასი, უცხოური სოლისტ-ანსამბლების ჩამოყვანაზე მილიონებს ვხარჯავთ, ჩვენი უბრწყინვალესი კოლექტივებისთვის ფინანსები არ გვყოფნის! ნუთუ ნამუსი არ აწუხებთ იმ არაფრისმთქმელი „შოუების“ ორგანიზატორებს? მაშინ, როდესაც უცხოელები სულშეკრულები და აღფრთოვანებული შესცქერიან ჩვენს ხელოვნებას, ჩვენს რეგიონებს რა „მუცლის სამართებელი“ გახდომიათ იგი?

ეტყობა, ის „შოუმენ-წურბელები“ აქედან ნაკლებ „შემოსავალს“ ელოდებიან, რომ ჯიბეები გაისქელონ!

ვფიქრობ, ხელისუფლებამ უნდა შეუწყოს ხელი ამ საქმის გამოსწორებას, თორემ, ისე დაგვემართება, რომ ჩვენს ეროვნულ კულტურაზე სხვები მოგვიყვებიან და ჩვენ „ტყემალზე“ დავჯდებით!

სამწუხაროა, ფრიად!

**ზაურ ფიფია**

შეპასუხება

# ოპონენტს ჩემს წერილში ბევრი რამ სწორად ვერ გაუგია

**პატივცემულო რედაქცია, გავეცანი ბ-ნ ომარ ხახაშვილის კრიტიკულ წერილს „საქართველოს რესპუბლიკის“ 27 ნოემბრის ნომერში – „სანამ ვირი ხეზე ავა... ვინ დასაჯოს სააკაშვილი – ქართველმა ხალხმა თუ ჰააგის ტრიბუნალმა?“, საიდანაც ჩანს, რომ ბევრი რამ ჩემს წერილში – „ტალიავინის „დამოუკიდებელი“ კომისიის, „აგვისტოს ომის“ და დაკარგული მიწების თაობაზე“, მას სწორად ვერ გაუგია.**

მე არ ვაპირებ პოლემიკის გამართვას ბ-ნ ხახაშვილთან, მაგრამ, თუ ნებას დამრთავთ, მხოლოდ ახსნა-განმარტების სახით მოკლედ და კორექტულად გავცემ მას პასუხს. კარგად მოგეხსენებათ, ტექსტიდან ამოგლეჯილი ადგილების კრიტიკა, რასაც ბ-ნი ომარი შვრება, საკმაოდ იოლია. მეც რომ იგივე ვქნა და სათანადო ჩემებური დასკვნებიც დავურთო, ვშიშობ, გულს ვატკენ, ეს კი, დამიჯერეთ, სრულებით არ მსურს. არ მსურს, რადგანაც მჯერა – არც ბ-ნ ომარს ექნებოდა დასახული მიზნად ჩემთვის გულის ტკენა.




მაშ ასე, მხოლოდ ახსნა-განმარტებანი ბ-ნ ომარ ხახაშვილის კრიტიკულ შენიშვნებზე (იმავე თანმიმდევრობით, როგორც ეს მის წერილშია):

1. ჩემს წერილში არსად არ ვამბობ, რომ სააკაშვილი ხვალ საქართველოს სასამართლოს უნდა გადაეცეს. მე მგონი ისეთ მიამიტს არ ჩამოვგავარ, რომ კუბლაშვილის სასამართლოსგან ველოდო მართლმსაჯულებას. მე გარკვევით მიწერია: „იგი საქართველოს სახალხო ტრიბუნალს უნდა გადაეცეს“. ვადებზედაც მივუთითებ სხვა ადგილას: „ხანდაზმულობის ვადა ასეთ (საკუთარი ერის წინაშე ჩადენილ) ღალატს არა აქვს“, ე. ი. ადრე თუ გვიან, როცა მოხერხდება გასამართლება;

2. რაც მილოშევიჩმა ქნა სააკაშვილს „ზუსტად იგივე“ ნამდვილად არ უქნია. მილოშევიჩს ალბანელების გენოციდი წაუყენეს ბრალდებად, რაც ჰააგის სასამართლომ დაადასტურა. ტალიავინის 20-კაციანი კომისია კი 10-თვიანი მუშაობის შემდეგ გარკვევით ასკვნის: „ოსი ეროვნების მოსახლეობის მიმართ საქართველოს მხრიდან გენოციდს ადგილი არ ჰქონია“! ის, რომ „სააკაშვილს ციხე არ ასცდება“, რომ მას „მილოშევიჩის ბედი ელის“ და, რომ ეს თურმე „უკვე გადაწყვეტილია“ (!), მაპატიოს ბ-მა ომარმა, მაგრამ ასეთი კატეგორიული დასკვნების გაკეთება, უბრალოდ, არასერიოზულია, და ტალიავინის კომისიის დასკვნის უგულებელყოფის ფონზე მარტო ბატონების – რამაზ კლიმიაშვილის და შალვა ნათელაშვილის დამოწმება ნამდვილად არასაკმარისია;

3. ცხინვალის, თუნდაც მოსახლეობისგან ძირითადად დაცლილი ქალაქის დაბომბვას, როცა ამის აუცილებლობა სამხედრო თვალსაზრისითაც არ იყო, და რასაც რამდენიმე ათეული ოსი ეროვნების მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა, გამართლება არა აქვს და იგი დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ იმ რეგიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის წინაშე შეგნებულად ჩადენილ დანაშაულს, შენი სისხლის და ხორცის, შენი ერის მოტყუებას და სასიკვდილოდ გამეტებას სულ სხვა სახელი შეეფერება – ესაა ღალატი, „მიუტევებელი ვერაგობა“! დანაშაულსა და ღალატს შორის განსხვავების ახსნა, ვფიქრობ, არ უნდა მჭირდებოდეს.

4. რაც შეეხება სააკაშვილის დანაშაულს ცხინვალის დაბომბვასთან დაკავშირებით – ვერავინ უარყოფს, რომ ქალაქში შეიარაღებული რაზმებიც მოქმედებდნენ და სნაიპერებიც, ამდენად სეპარატისტულ რეგიონში რომელიმე ქალაქის დაბომბვა, სადაც შეიარაღებული დაჯგუფებები სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას ეწინააღმდეგებიან, ვერაფრით ვერ ჩაითვლება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად. მილოშევიჩი კოსოვოს რომელიმე დასახლებული პუნქტის ერთჯერადი დაბომბვისთვის და ამის შედეგად რამდენიმე ათეული მშვიდობიანი ალბანელის დაღუპვისთვის კი არ გაუსამართლებიათ, იგი გაასამართლეს ალბანელების, მათ შორის დატყვევებულების, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობის და მათ შორის ქალების, ბავშვების და მოხუცების მასობრივი(!) და ხანგრძლივი დროის მანძილზე მრავალჯერადი(!) გაწყვეტისთვის, გენოციდისთვის! სწორედ ესაა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და არა ერთ ღამეს ცხინვალის დაბომბვა.

5. 2008 წლის აგვისტოში ადგილი ჰქონდა რუსეთ-საქართველოს ომს (ასე აფასებს აგვისტოს მოვლენებს ევროსაბჭო ომიდან ერთი წლის შემდეგ) და ეს ომი იურიდიულად დაიწყო რუსეთის აშკარა აგრესიის შემდეგ (აბა, ფარული ხომ დიდი ხანია მიმდინარეობდა!), როცა 8 აგვისტოს რუსეთის 58-ე არმიამ და საჰაერო ძალებმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთეს. თუ ბ-ნ ომარ ხახაშვილს საქართველოს(!) ქალაქის – ცხინვალის დაბომბვა რუსეთისთვის(!) ომის გამოცხადებად მიაჩნია, მაშინ რა მეთქმის, გამიჭირდება ასეთი კაცის გადარწმუნება. არადა, ევროპის ცნობილი პოლიტიკოსების, ევროკავშირის ქვეყნების ლიდერების სახელზე გაგზავნილ ღია წერილში, ყველასათვის გასაგებადაა ნათქვამი: „გადამწყვეტი საკითხი მდგომარეობს არა იმაში, თუ ვინ გაისროლა პირველმა, არამედ, პირიქით, იმაში, თუ რომელი სახელმწიფო შეიჭრა სხვა სახელმწიფოში“!

ჩემი, გაკრიტიკებული წერილის დასაწყისში მე აღვნიშნავდი, რომ სხვადასხვა მოსაზრებების შეუჯერებლად სწორი არჩევანი გაძნელდება-მეთქი, და ამ აზრზე ვარ ახლაც, მაგრამ საკუთარი აზრის გადმოცემამ იმ მეთოდით, რომელსაც ბ-ნი ომარ ხახაშვილი იყენებს (ტექსტიდან ამოღებული ნაწყვეტების განხილვა ავტორისეული წინ წამძღვარებული მსჯელობისა და არგუმენტების გარეშე), ვეჭვობ, სწორი არჩევანი გაგვიადვილოს.

რაც შეეხება ბ-ნ ომარის კრიტიკული შენიშვნების და ჩემი შესაბამისი ახსნა-განმარტებების შეფასებას, მოდით იგი თავად მკითხველს მივანდოთ, რომელსაც ორივე ჩვენგანის წერილები ექნება წაკითხული.

**პატივისცემით,**
**იაკობ ლეჟავა**
**ნოემბერი, 2009**

პატივმიგება



# ეს იყო...

## საქართველოში მცხოვრები უკრაინელები დიდშიმშილობის დროს დაღუპულთა სულებს იხსენიებენ

**დაღუპულ ადამიანთა ხსოვნის პატივსაცემად გასულ კვირას ისინი საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა ასოციაციაში შეიკრიბნენ და წუთიერი დუმილით გამოხატეს ეს გრძნობა.**

ღონისძიებას საქართველოში უკრაინის ახალდანიშნული ელჩი ვასილი ციბენკოც დაესწრო, რომელმაც უკრაინელ ხალხს პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს მოკითხვა და სპეციალური მიმართვა გადასცა. მან საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა ასოციაციაში შეკრებილ თანამემამულეებთან ერთად კიდევ ერთხელ გაიხსენა გასული საუკუნის 30-იანი წლები, როდესაც დიდშიმშილობის, ანუ ძველი ქართულით ვიტყვით, სიყმილის დროს მილიონობით ადამიანი დაიღუპა.

– ამ დღეებში უკრაინელი ხალხი მთელს მსოფლიოში იხსენებს გასული საუკუნის 30-იან წლებში დაღუპულ თანამემამულეებს, – განაცხადა ვასილ ციბენკომ. – და სიმბოლურია, რომ მე ახლა აქა ვარ ქართველ ხალხთან, რადგან გენოციდის პერიოდში მრავალმა ათასმა უკრაინელმა საქართველოს შეაფარა თავი, სადაც ისინი ამდენი ხანია ცხოვრობენ და შენარჩუნებული აქვთ თავისი ტრადიციები, რაც ქართველი ერისა და სახელმწიფოს დამსახურებაა...

ამ აზრს იზიარებს ჩვენი ცნობილი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში ანატოლი მილჩენკო, რომელიც უკრაინელთა ამ შეკრებაში მონაწილეობდა და ამით ხარობდა.

ეს დღე გაალამაზა საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა ასოციაციაში არსებულ ბავშვთა შემოქმედებითი ჯგუფებისა და სტუმრად მოწვეული განთქმული ტრიო „ბრავოს“ კონცერტმა.

წინა დღეს ტრიო „ბრავომ“ კონცერტი გამართა რუისის მუსიკალურ სასწავლებელში. ეს საღამოც უკრაინელი და ქართველი ხალხების ტრაგედიების დროს დაზარალებულთა ხსოვნას მიეძღვნა.

სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატმა, საქართველოს ღირსების ორდენოსანმა მევიოლინე გალინა ბანდურამ თავის კოლეგებთან ერთად 11 ნაწარმოები შეასრულა.

უკრაინული წარმოშობის ეს მევიოლინე მაყურებლის წინაშე მეუღლესთან – ალტისტ ანატოლი დანელიანთან და პიანისტ ნანა კობალაძესთან ერთად წარსდგა. უკრაინელი მევიოლინე საქართველოში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

საღამო მოეწყო ქალთა ასოციაცია „ერთობის“ ინიციატივით, რომელსაც ცნობილი საზოგადო მოღვაწე ია ქვათაძე ხელმძღვანელობს.

კონცერტის შემდეგ გალინა ბანდურამ, რომელიც ხშირად მართავს საქველმოქმედო კონცერტებს და ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას, კმაყოფილებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ რუისის მუსიკალური სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში შეკრებილი მოსწავლეები და მასწავლებლები, აგრეთვე სოფლისა და მთლიანად ქარელის რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები აღფრთოვანებით ხვდებოდნენ კონცერტის პროგრამის ყოველ ნომერს.

– ეს სჭირდება ამ ხალხს, რომელიც მოწყურებულია მაღალ ხელოვნებას, – ამბობს გალინა ბანდურა. – აქ გამოსვლა განსაკუთრებით სასიამოვნოა, რადგან შეხვედრა და ურთიერთობები სრულიად გულწრფელია. შარშანდელი აგვისტოს ომში დაზარალებული ბავშვებისთვის კი ეს სულიერი სიმშვიდის საბუდარია...

საღამოს ჩვეული ოსტატობით უძღვებოდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნანა გაჩეჩილაძე.

აღსანიშნავია, რომ თბილისიდან ჩასულმა სტუმრებმა სკოლაში მისვლამდე მოინახულეს რუისის სიწმინდეები, უძველეს ეკლესიებში დაანთეს სანთლები და ილოცეს ქართველ და უკრაინელ ერთა ძმობაზე და მეგობრობაზე, მოიხსენიეს სამშობლოსათვის შეწირულთა სულები...

სკოლის დირექტორი ნანა ღამბაშიძე განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს ქარელის რაიონის კულტურისა და სპორტის გაერთიანების მმართველის ეთერ სულეიმანაშვილის მიმართ, რომლის ძალისხმევისა და დახმარების მეშვეობით შესაძლებელი გახდა სკოლის შენობის მოწესრიგება და გამართვა. და ამიერიდან შესაძლებელია აქ ამდაგვარი შეხვედრებისა და კონცერტების გამართვა.

**მამია ალაშვილი,**
ავტორის ფოტო



ინფორმაცია

# სოლანამ თანამდებობა დატოვა

**ჰავიერ სოლანამ** საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე თავისი მუშაობა დაასრულა. ესპანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ევროპულ დიპლომატიას ათ წელზე მეტი დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. სოლანა ამ თანამდებობაზე ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობიდან მივიდა.

– დღეს ჩემი მანდატი იწურება, მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ, განსაკუთრებით პრესასა და მედიას იმ ინტერესისათვის, რომლითაც ისინი თვალყურს ადევნებდნენ ჩვენს მუშაობას ბოლო ათი წლის განმავლობაში, – განაცხადა ჰავიერ სოლანამ თავის დასამშვიდობებელ სიტყვაში.

საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე ჰავიერ სოლანას ბრიტანელი ბარონესა კეტრინ ეშტონი შეცვლის. ლისაბონის ხელშეკრულების ნორმების შესაბამისად მისი ფუნქციები მნიშვნელოვნად გაფართოვდება, იგი ევროკავშირის შემადგენლობაში შევა და თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას მიიღებს.

ეშტონი ასევე მიიღებს თავის განკარგულებაში სრულფასოვან ევროპულ პოლიტიკურ სამსახურს, რომელსაც უფლება ექნება საზღვარგარეთ თავისი მისიების გახსნისა. ევროპული საგარეო ურთიერთობათა სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა ხუთი ათას ადამიანს მიაღწევს.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ წარდგინება

# თითქოს ყვავილებს წყალს უსხამდეს...

**„ო, რა სანდოა,
ღვთისმშოგელივით,
ლექსის გზკარი და პურის თავთავი“, – ამ სტრიქონებივით სუფთა და სანდოა ქეთევან შენგელიას პოეზია. სიყვარული, წუთისოფელი, მოგზაურობის ანარეკლები, წარსულის სურათები... და საქართველო, – ეს თემები უმთავრესია პოეტისთვის. ქეთევან შენგელიას ახალი კრებული „მზე და ღრუბელი“ იმ სიხარულსა და ტკივილებზეა, რასაც ცხოვრება გზადაგზა გვიწილადებს.**

ბატონ თამაზ ჭილაძეს მოვუსმინოთ: „ქეთევან შენგელიას მძაფრი და ნატიფი ლირიზმით აღბეჭდილი ლექსები წარმოადგენს ერთ საყურადღებო მოვლენას ჩვენს



მწერლობაში. პოეტი ისე ლაღად, ისე თავისუფლად წერს, თითქოს ყვავილებს წყალს უსხამდეს და ამით ქმნის კიდევ გაუზზარავი სიმშვიდის ილუზიას, რომლის ჰაეროვანი სხეულიც ყოველდღიურობის ბასრ ეკლებზე იკაწრება...“

ამ სილაღესა და თავისუფლებაზე ბევრი ისაუბრეს სამებაში, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, სადაც ქეთევან შენგელიას ზემოხსენებული ახალი პოეტური კრებულის წარდგინება გაიმართა. ბატონმა ემზარ კვიტაიშვილმა ვრცლად მიმოიხილა მისი პოეზიის ასპექტები: ქეთევანის ლექსი მუსიკალურია შოპენის ჰანგივით, მას აქვს ლექსის კომპოზიციის არაჩვეულებრივი შეგრძნება, ზედმეტს არაფერს ამბობს, რაც მის ლირიკას მომხიბვლელობას სძენსო.

ქეთევან შენგელია ტრადიციული კლასიკური პოეზიის გზის გამგრძელებელია, თუმცა სათქმელს ახლებურად გადმოსცემს. ინგა მილორავას აზრით, ქეთევანის სტრიქონებში თანდათან დაიბადა, „აშენდა“ თვითმყოფადი ქვეყანა... „...მიუხედავად მასშტაბური, ყოვლისმომცველი მზერისა, სიყვარულის, ტკივილის, უფალთან მიმართების, სიცოცხლის არსის სურვილისა და მძაფრი ფერწერული მონასმებისა თუ მოქანდაკის საჭრეთლით ნაკვეთი სიტყვისა – კლდეებისა, ქეთევან შენგელიას პოეზია ყოველთვის ინარჩუნებს რბილ ლირიზმს, სევდიან კდემამოსილებას, ისეთ სულიერ სიმაღლეს, რომელიც სპობს კადნიერებისა და პატივმოყვარეობის მკრთალ კვალსაც კი და საშუალებას აძლევს სულ ცოტაში ჩაატიოს მთელი სიცოცხლე და არსებობის არსი“...

ამ პოეტურ სამყაროში საოცრად ბუნებრივია იმედი და სასოწარკვეთა, სიცოცხლის სისავსის შეგრძნება. სულიერი მუტანტები ძალიან საშიშია, მაგრამ როცა მათ გვერდით იბადება ნამდვილი, ჯანსაღი განცდა, ეს საფრთხეც ნელნელა უკან იხევს...

განა შეიძლება აუღელვებლად წაიკითხოს ვინმემ ეს სტრიქონები:

**„ფარავნის ტბასთან, ფოკაში,
სალოცავია ერთი,
მოდი, ახლავე წავიდეთ,
„მოვინახულოთ“ ღმერთი...
მერე ხიხანში შევიდეთ,
მერე მაჩვენე სხალთა,
წითელი ყაყაჩოებით
ამავსებინე კალთა“...**

ორიგინალურადაა დანახული სამშობლო პოეტის შემოქმედებაში

**„მაგრამ ამ ზეცას თუ
წამართმევენ,
სიცოცხლე სულაც
არ მომინდება“** – წერს იგი.

აფხაზეთში საქართველო იწვის და დაკაწრული ეკლით ყვავილი თითქოს სულიდან ამოაცალეს... პოეტის გულში ბინდია, თუმცა ჯერ კიდევ უძლებს ჩაწიხვლას. და ყოჩივარდების სურნელიც ჰყოფნის. იმედიანია ნოემბრის თბილისი – მრავალგანსაცდელგამოვლილი და გადარჩენილი...

იმედიანი იყო სამებაში გამართული ეს საღამოც. მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: დავით შემოქმედელი, ბაღათერ არაბული, თინათინ ელბაქიძე, მანანა ჭირაქაძე, ივანე ჯაფარიძე, ქეთევან დოლიძე... ანსამბლი „დიდგორი“...

„ყველას საკუთარი პოეტი ჰყავს, ქეთი ჩემი პოეტია“, – აღნიშნა ღვაწლმოსილმა პროფესორმა ციალა სვანიძემ. უფრო დიდ ჯილდოდ სხვა რა უნდა ინატროს შემოქმედმა?

და ბოლოს, ქეთევან შენგელიას ახალი მეექვსე პოეტური კრებული გამომცემლობა „ბაკმმა“ დასტამბა. წიგნის რედაქტორია რუსუდან მოსიძე, მხატვარი – ნინო ნაფეტვარიძე-გიუნტერი.




**თავად ქეთევან შენგელიამ კი დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. დაამთავრა კინოდრამატურგიის ფაკულტეტი. სამწერლო გაერთიანება „მნათობის“ გამგეობის წევრია, ქართულ-ესპანური კულტურის ცენტრის და მწერალთა კავშირის წევრი, თსუ-ს „ლიტერატურული სახელოსნოს“ ხელმძღვანელი. მუშაობს თსუ-ში და ლიტერატურის ინსტიტუტში.**

**ქეთევან შენგელია ლიტერატურულ-ესეისტური კრებულების ავტორიცაა.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ კავკასიური სახლის ბინადარნი

*ბოლო ერთი თვის მანძილზე კავშირმა „კავკასიის ფონდმა“, მისი თავკაცის, ცნობილი არქეოლოგ-კავკასიოლოგის გივი ღამბაშიძის თაოსნობით რამდენიმე უაღრესად საინტერესო სტუმართან შეხვედრაში შემიწყო ხელი, რისთვისაც რედაქციის სახელით კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას მოვახსენებ. ასე იყო ამჯერადაც, როცა ბატონმა გივიმ მითხრა – ჩვენს ეროვნულ არქივში მასალების მოსაძიებლად დაღესტნიდან ახალგაზრდა მკვლევარი ქალბატონი ფატიმატ ტახნაევა არის ჩამოსული, რომელიც შუა საუკუნეებში მთიან დაღესტანში ქრისტიანობის გავრცელებისა და იქაურ პოლიტიკაზე მის ზეგავლენის საკითხებს იკვლევს და, თუკი მასთან შეხვედრა დაგაინტერესებთ, ამის მოწყობა ძნელი არ იქნებაო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ახალგაზრდა ისტორიკოსი თავის კვლევის საგნით იმდენად გატაცებული აღმოჩნდა, რომ საკუთარ თავზე თითქმის არ ულაპარაკია, საუბარი ჯერ XIX საუკუნეში დაღესტან-საქართველოს ურთიერთობებსა და შამილის ომების პერიოდს შეეხო, შემდგომ კი შუა საუკუნეებში დაღესტანში ქრისტიანობის გავრცელების თემაზე გადავედით.*



# ქრისტიანობის ნაკვალევს აღევნებული ფატიმატ ტახნაევა...

– კავკასიის ომის თემატიკით ჯერ კიდევ დაღესტანში, ასპირანტურაში სწავლის დროს დავინტერესდი, როცა ამ თემაზე შემდგომ მონოგრაფიად გამოცემული წიგნი დავწერე, – თქვა ქალბატონმა ფატიმატმა. – ამ ნაშრომში მე განვიხილავდი 1840-1850 წლების, ფაქტობრივად, დაღესტანში სამოქალაქო ომის ასპექტებს, რომელშიც ეროვნულ ძალებს სათავეში იმამი შამილი ედგა. ეს დაღესტანის ხალხის მეტად ტრაგიკული პერიოდი იყო, რომელმაც დიდად გამიტაცა და მისი ერთგვარად რეკონსტრუირება ვცადე. თუმცა, ამ თემაზე დისერტაციის დაცვა ვერ მოვახერხე იმის გამო, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელი დამეღუპა.

ასპირანტურაში სწავლის დროს კი კულტუროლოგიის, ანუ დაღესტნის კულტურის კურსი მიმყავდა და როცა დაღესტანში ქრისტიანული სარწმუნოების ისტორიის საკითხებს შევეხე, მივხვდი, რომ მარტო იმის თქმა, რომ დაღესტანში ქრისტიანობა ამ საუკუნიდან ამ საუკუნემდე იყო გავრცელებული, არანაირად არ მაკმაყოფილებდა. საკითხს რომ ჩავუღრმავდი, დავრწმუნდი, რომ მის შესახებ მარტო მეტ-ნაკლებად სერიოზული ნამუშევარი კი არა, საერთოდ არანაირი მეცნიერულად დამუშავებული მასალა არ არსებობდა, ამიტომაც თავად გადავწყვიტე მისი გამოკვლევა.

ქრისტიანობის ხანა დაღესტანში – ეს ქვეყნის კულტურული ისტორიის უმდიდრესი და უაღრესად საინტერესო შრეა, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ყოველმხრივ შესწავლას. არადა, ჩემი კვლევების გაგრძელება, გარკვეულწილად, შემთხვევით მოხდა. საქმე ის არის, რომ ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდნენ მოსკოვის აღმოსავლეთის ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებმაც მითხრეს, რომ ინგლისში, ბირმინჰემში, ოქსფორდის უნივერსიტეტთან არის ისლამისა და ქრისტიანობის ისტორიის ინსტიტუტი, ამიტომ სცადე, თემა გაგზავნე გრანტის მოსაპოვებლადო. ეს იყო 1998 წლის აგვისტოში. ასეც მოვიქეცი, მალე კი თემა დამიმტკიცეს და 1999 წლის ოქტომბერში უკვე მოსკოვში ვიყავი და მუშაობას შევუდექი.

მერე ცალკე წიგნად გამოვეცი დაღესტანში ექსპედიციური საველე დღიურები „ქრისტიანული კულტურის კვალდაკვალ მთიან დაღესტანში“, რაც, ფაქტობრივად, ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენს.

ზოგადად კი, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ქრისტიანული წარსული კარგად ცნობილი და, რაც მთავარია, სანდო წყაროებით უტყუარად დადგენილი ფაქტია. ამ შემთხვევაში კი მე ვსწავლობ ქრისტიანობის გავრცელებას მთიან დაღესტანში, კერძოდ, ავარეთში, იმ მხრივაც, რომ მაშინ დაღესტანი საქართველოს ძლიერი გავლენის ქვეშ იყო.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩემმა დისერტაციამ, უფრო სწორად კი თავად თემამ, მოსკოვში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. საქმე ის არის, რომ XIII საუკუნისთვის ქრისტიანობას მკვიდრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული დაღესტანში, შენდებოდა საყდრები, მონასტრები, კულტურის ცენტრები და ყოველივე ეს არა მხოლოდ კულტუროლოგიური, არამედ უდიდესი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური მოვლენა იყო. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმის თაობაზე, რომ **იმ დროს დაღესტანი კავკასიის ხალხთა ერთგვარ კონფედერაციაში შედიოდა, რომელსაც საქართველო აერთიანებდა.**

**თქვენ მეკითხებით, თუ რას ეყრდნობა ჩემი ეს დასკვნა. მოგახსენებთ: იმ დროს დაღესტანში ოცამდე ქართული ეკლესია და სამი ეპარქია იყო. როგორ გგონიათ, ეს ფაქტი რამეს მეტყველებს თუ არა?**

რამდენიმე დღის წინათ ერთერთ დაწესებულებაში ამ საკითხზე საჯარო ლექცია წავიკითხე, რის შემდეგ დასკვნა გამოვიტანე, რომ ჩემი კვლევები უფრო დაღესტნელ მკითხველსა და, ზოგადად, საზოგადოებრიობაზეა გათვლილი, ვიდრე ქართულზე. საქმე ის არის, რომ შუა საუკუნეების დაღესტანში ქრისტიანობის არსებობა – გასაშლელი თეზისია, ხოლო მისი გავრცელების ტერიტორიის შემოხაზვით საჭიროა მოვლენის მასშტაბის წარმოჩინება. ჩემს ნაშრომში მე, ფაქტობრივად, მოვახდინე დაღესტანში ქრისტიანობასთან დაკავშირებული ყველა არსებული წყაროს – არქეოლოგიურის, წერილობითის, ეთნოგრაფიულის და სხვ. – კარტოგრაფირება. როცა მთელ ფაქტობრივ მასალას რუკაზე დაიტანთ, აღმოჩნდება, რომ იგი უზარმაზარ რეგიონს მოიცავს.

ჩემი დისერტაციის თემის სათაური ასე იყო ჩამოყალიბებული: **„შუა საუკუნეების ავარეთის ქრისტიანული კულტურა პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციის კონტექსტში (VII-XVI ს.ს.)“,** რომელშიც არც ერთი დასახლებული პუნქტისა თუ ისტორიული წყაროსთვის, ანდა, სულაც, ზეპირსიტყვაობის ნიმუშისთვის გვერდი არ ამივლია, სადაც კი ამის შესახებ თუნდაც რაიმე მინიშნებაა. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ჩემი ეს ნამუშევარი შიდა დაღესტანში ქრისტიანობის გავრცელებისა და მისი უდიდესი ზეგავლენის ერთიან, მთლიან სურათს ჰქმნის.

საგულისხმოა, რომ ფატიმატ ტახნაევას მონოგრაფიის შესავალში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რ.შახსაიდოვი წერს: „ქალბატონმა ტახნაევამ გვაჩვენა, რომ წყაროთა საინფორმაციო საშუალებები ჯერ კიდევ სრულად ამოწურული არ არის, ამიტომ მათ კომპლექსურმა გამოყენებამ შესაძლოა კონფესიური ისტორიის სხვა მხარეებიც წარმოაჩინოს“.

უნდა ითქვას, რომ ავარეთში ქრისტიანობის დამკვიდრების პროცესს ქალბატონი ტახნაევა საერთო დაღესტნურ ფონზე განიხილავს, თუმცა ყველაზე მეტი ყურადღება აქ ქართული მართლმადიდებლური (დიოფიზიტური) ეკლესიის ქრისტიანულ-მისიონერულ მოღვაწეობას ეთმობა. ნაშრომში პირველადაა წარმოჩენილი ქართლის, კახეთისა და ჰერეთის როგორც ქართულ-ქრისტიანული ფორფოსტების როლი ავარეთში ქრისტიანობის დამკვიდრების საქმეში. ამასთან, საგულდაგულოდაა თვალგადევნებული, რომ ქალკედონიტებსა და ანტიქალკედონიტებს შორის ბრძოლა, რომელიც ჰერეთსა და ალბანეთში წარმოებდა, ესაა ბრძოლა ქართულ და სომხურ გავლენებს შორის.

ასევე ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა დაღესტნის, განსაკუთრებით მთიანი დაღესტნის კონფესიურ ცხოვრებაში ისლამისა და ქრისტიანობის დაპირისპირებამ. ისტორიულ თხზულებებში, მათ შორის დაღესტნურ ქრონიკებში, ეს პროცესი კარგადაა ასახული. ამასთან, აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ მასში უდიდესი როლი შეასრულა XI-XIV ს.ს. უწყვეტმა მუსლიმურმა ტალღამ, რომელიც თურქ-სელჯუკების, მონღოლ მუსლიმ ხანთა, აგრეთვე თემურ-ლენგის დაპყრობით ომებთანაა დაკავშირებული.

დასასრულ ქალბატონმა ტახნაევამ მითხრა, მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების დაღესტანში ქრისტიანული კულტურის შესწავლის საკითხები კვლავაც მისი მეცნიერული კვლევების სფეროს წარმოადგენს, ამჟამად იგი მაინც „სიყრმის სიყვარულს“, XIX საუკუნის დაღესტნის ისტორიის საკითხების კვლევას დაუბრუნდა, რომელიც 1839-1877 წლების კავკასიის ომის პერიოდს მოიცავს და თბილისში მისი პირველი სტუმრობა, საქართველოს ეროვნულ არქივში ამჟამინდელი მუშაობა, სწორედ ამასთანაა დაკავშირებული.

ეს პირველი სტუმრობა მომავალში არაერთი საქმიანი თუ მეგობრული ჩამოსვლის საწინდარი ყოფილიყოს, ქალბატონო ფატიმატ!

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ „პენსია ჩვენი არსობისა“

# ასე მწარედ დამიბერდი?!

## ვისთვის როგორი გოდორი იწვნება?

***პენსია ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ქვაკუთხედია. იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი საშუალო და მინიმალური სიდიდე, როგორია მისი თანაფარდობა ქვეყანაში ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან, შეიძლება ვიმსჯელოთ ამ ქვეყნის განვითარების დონეზეც, წარმოების ეფექტურობის, ჰუმანურობისა და ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა სოციალური დაცულობის ხარისხზე. ასაკით პენსიონერების (ასეთები კი პენსიონერთა 70 პროცენტია) პენსიის სიდიდე საკმაოდ კარგი მაჩვენებელია უფროსი თაობისადმი საზოგადოების დამოკიდებულების, ყურადღების, მზრუნველობისა და პატივისცემის, სახარების ერთ-ერთი მცნების „პატივ ეც მამას შენსა და დედასა შენსა“ პრაქტიკული რეალიზაციისა.***

საქართველოს მოსახლეობის ფულად შემოსავლებში პენსიების წილად მხოლოდ 16.6 პროცენტი მოდის. მაგრამ უშუალოდ პენსიონერთათვის, ანუ მათთვის, ვინც ყოველთვიურ ფულად დახმარებას ღებულობს საპენსიო ასაკის მიღწევის, ინვალიდობის ან მარჩენალის დაკარგვის გამო, აღნიშნული სახის შემოსავლები ძირითადი, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, შემოსავლის ერთადერთი წყაროა. საქართველოში დღეისათვის **844 ათასი პენსიონერია** – მთელი მოსახლეობის 19.2 პროცენტი. შრომით პენსიის მიმღებთა წილი პენსიონერთა საერთო **რაოდენობაში** ბოლო 6 წლის განმავლობაში 5 პუნქტით გაიზარდა და 70 პროცენტი შეადგინა. **საშუალო პენსიის სიდიდე ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 6.1-ჯერ** (14-დან 85 ლარამდე), ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან პენსიონერთათვის გამოყოფილი თანხების ოდენობა – 5.2-ჯერ. შინამეურნეობებში საპენსიო შემოსავლების ზრდა 2.2-ჯერ აღემატებოდა დანარჩენი შემოსავლების ზრდას (შესაბამისად, 4.4-ჯერ და 2.0-ჯერ).

აღსანიშნავია, რომ **ბოლო წლებში საშუალო პენსიის ზრდის დინამიკა უსწრებს მთელი ფულადი შემოსავლებისა და საშუალო ნომინალური ხელფასის ზრდის დინამიკას.** – ამ უკანასკნელის სიდიდე 2009 წლისთვის, 2003 წელთან შედარებით, ნეტო გამოსახულებით (დარიცხულ ხელფასს გამოკლებული საშემოსავლო გადასახადი) – მხოლოდ 4-ჯერ (112.6 ლარიდან 448 ლარამდე) გაიზარდა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, **ამჟამად საშუალო პენსია დღეს მოქმედი საარსებო მინიმუმის დაახლოებით 2/3-ია, მაშინ როდესაც 2003 წელს 1/5–ზე ნაკლები იყო.** შედეგიც თვალსაჩინოა: თუ 2003 წელს ერთი თვის საშუალო პენსიით შესაძლებელი იყო 2.7 კგ საქონლის ხორცისა ან 14 კგ პურის შეძენა, 2009 წელს უკვე თითქმის 10 კგ ხორცის ან 58 კგ პურის შეძენა შეიძლება.

მოკლედ, პროგრესი აშკარაა და სახელმწიფოს მხრიდან პენსიონერთა მხარდაჭერა გაცილებით ქმედითია, ვიდრე ეს ამ რამდენიმე წლის წინათ იყო. გარკვეულწილად, ხელისუფლებაც მიხვდა, რომ ასაკობრივი დისკრიმინაცია, ეიჯიზმი პოლიტიკურადაც არაა მისთვის მომგებიანი – პენსიონერები ხომ ელექტორატის ყველაზე მრავალრიცხოვან და თითქმის ყველაზე აქტიურ სოციალურ სეგმენტს წარმოადგენენ. თუმცა ყოველივე ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ პენსიონერთა ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მძიმეა და სიღარიბისა და სოციალური დაუცველობის მხრივ ისინი ერთ-ერთ მაღალ რისკის ზონას მიეკუთვნებიან.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ზრდის მიუხედავად, პენსია ჯერაც არ გაზრდილა საარსებო მინიმუმამდე მაშინ, როდესაც საშუალო ხელფასი უკვე 4.6-ჯერ აღემატება საარსებო მინიმუმს. **საარსებო მინიმუმზე ნაკლები სიდიდის პენსია კი ფაქტობრივად მხოლოდ სოციალური დახმარების ფუნქციის მატარებელია. ამჟამინდელი პენსია პენსიონერთა ოფიციალური საარსებო მინიმუმის შესატყვისად არსებობისთვის „საკმარისია“ თვეში მხოლოდ ოცი დღის განმავლობაში.** შესაბამისად, ყოველი თვის ერთი დეკადის მანძილზე პენსიონერთა მოხმარება, ფიზიკური არსებობა მთლიანად მათსავე „მარიფათსა“ და ახლობლების დახმარებაზეა დამოკიდებული.

**ბოლო წლებში სურსათზე ფასების ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა ფასების საერთო ზრდას** – თუ 2009 წლის ოქტომბერში 2003 წლის დეკემბერთან შედარებით, ინფლაციამ შეადგინა 53.9 პროცენტი, სურსათზე ფასებმა იმავე პერიოდში მოიმატა 78.3 პროცენტით, ანუ 1.5-ჯერ მეტად. ამავე დროს, კვებაზე, სურსათზე უფრო მეტი ეხარჯება მათ, ვინც უფრო დაბალშემოსავლიანია, ანუ პენსიონერებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფასების ზრდა, ინფლაცია პენსიონერების მდგომარეობაზე გაცილებით უფრო მძიმედ აისახებოდა, ვიდრე საშუალოდ და მით უფრო, დანარჩენ მოსახლეობაზე. აღსანიშნავია, რომ **იმავე პერიოდში ბუნებრივი აირის ფასი გაიზარდა თითქმის 4-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიისა – 1.6-ჯერ. შესაბამისად, 2009 წლის ნოემბრის პენსიის მსყიდველობითი უნარიანობა 2003 წლის დეკემბრის ფასებით დაახლოებით 40-42 ლარის ეკვივალენტურია.**

საქართველოში, მიუხედავად ბოლო წლებში განვითარებული დრამატული მოვლენებისა, მოსახლეობის 9/10-ზე მეტი კვლავაც ტრადიციულ, რამდენიმე თაობით წარმოდგენილ შინამეურნეობაში (მშობლები, შვილები, ბებია-ბაბუა და ა.შ.) ცხოვრობს. პენსიონერთა მხოლოდ მცირე ნაწილი – დაახლოებით 60 ათასი (პენსიონერთა 7 პროცენტი) ცხოვრობს მარტო, ან საპენსიო ასაკის პენსიონერ მეუღლესთან ერთად. სწორედ შინამეურნეობაში ერთობლივი თანაცხოვრება განაპირობებს იმას, რომ პენსიონერების **კეთილდღეობა და მოხმარების სიდიდე მათი ინდივიდუალური პენსიის სიდიდეზე არანაკლებ ოჯახის მთლიან შემოსავლებზეა დამოკიდებული.** დღეისათვის პენსიონერთა პენსიების წვლილი შინამეურნეობათა მთელ სამომხმარებლო რესურსებში შეადგენს 16.6 პროცენტს, მაშინ როდესაც პოტენციურად ისინი საკუთარი შინამეურნეობების საერთო დოვლათის თითქმის მეოთხედის მომხმარებლები არიან, ანუ **შემოსავლების სხვა საშუალებები (თვითდასაქმება, ნატურალური შემოსავლები და ა.შ.) და დოვლათის შიდაოჯახური გადანაწილება პენსიონერთა მოხმარებას ზრდის დონემდე, რომელიც მათი პენსიის სიდიდეს დაახლოებით 1.7-ჯერ აღემატება.** სწორედ აღნიშნული გარემოება განსაზღვრავს პენსიონერთა საარსებო მინიმუმზე ნაკლები პენსიის პირობებშიც კი მათ შედარებით უკეთეს მოხმარებას და სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობას.

საქართველოში უკიდურესად საგანგაშოა პენსიონერთა და დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობათა თანაფარდობა. – ეს თანაფარდობა ოპტიმალურია, როდესაც ყოველ 100 პენსიონერზე არანაკლებ 280-300 დაქირავებით დასაქმებული მოდის. საქართველოში დღეისათვის 572.5 ათასი დაქირავებით დასაქმებულია, ანუ ყოველ 100 პენსიონერზე მხოლოდ 68 დასაქმებულია – ოპტიმალურ დონესთან შედარებით დაახლოებით 4.4-ჯერ და ოცი წლის წინანდელ დონესთან – 3.9-ჯერ ნაკლები. ეს შეიძლება პირობითად საზოგადოების „გამოხელფასებულ-გაპენსიონერებულ“ სინდრომადაც კი მივიჩნიოთ. – **საქართველოში პენსიონერი კი არაა „ბევრი“ (მათი რაოდენობა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში თითქმის 1/4-ით შემცირდა), არამედ დაქირავებით დასაქმებულია „ცოტა“ (მათი რაოდენობა იმავე პერიოდში, როგორც უკვე ითქვა, თითქმის 4-ჯერ შემცირდა).**

***ზემოხსენებულ ოპტიმალურ თანაფარდობამდე კი არა, დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობის თუნდაც გაორმაგების ხარჯზე ბიუჯეტში დამატებით აკუმულირებული სახსრებით შეიძლებოდა ყოველთვიური პენსიების, სულ ცოტა, 75-80 ლარით გაზრდა...***

ბოლო წლებში პენსიის არსებითი ზრდის მიუხედავად, საშუალო ხელფასთან თანაფარდობა საქართველოში ჯერადად დაბალია, ვიდრე ეს იყო ამ ორი ათეული წლის წინათ. – ამჟამინდელი პენსია პროცენტებში საშუალო ნეტო ხელფასთან (საშუალო დარიცხულ ხელფასს გამოკლებული საშემოსავლო გადასახადი) 1990 წლის მაჩვენებელს თითქმის 2-ჯერ ჩამორჩება (1990 წ. – 36.7%; 2009 წ. – 19.0%). ამჟამად რომ ორი ათეული წლის წინანდელი თანაფარდობა იყოს, პენსია ამჟამინდელზე დაახლოებით 80 ლარით მაღალი იქნებოდა.

**ამჟამინდელი საშუალო პენსია თავისი მსყიდველობითი უნარიანობით ორი ათეული წლის წინანდელი მინიმალური პენსიის დაახლოებით 45 პროცენტის ეკვივალენტურია.**

**ეხლანდელი პენსიონერები ჩამორჩებიან „მაშინდლებს“ არა მარტო მიმდინარე შემოსავლებით, არამედ დაგროვილი, გადანახული ფინანსური რესურსებითაც. – ამ ორი ათეული წლის წინანდელი საშუალო პენსია თითქმის უტოლდებოდა მაშინდელ საარსებო მინიმუმს, ხოლო პენსიონერთა დეპოზიტების საშუალო სიდიდე 22-ჯერ აღემატებოდა საარსებო მინიმუმს. დღეისათვის პენსიონერთა საშუალო პენსია თითქმის 30 პროცენტით ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, ხოლო პენსიონერთა დეპოზიტების საშუალო სიდიდე 2-ჯერაც ვერ აღემატება მათს ამჟამინდელ საარსებო მინიმუმს.** თუკი მაშინ პენსიონერთა დეპოზიტების მთლიანი თანხა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტს აღემატებოდა, დღეისათვის იგი მხოლოდ 1-1.5 პროცენტია. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ 1990-იანი წლების შემდეგ ბევრ პენსიონერს მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მოუწია უძრავი ქონების ელემენტების (პირველ რიგში ბინის, სახლის) გაყიდვა, ან შედარებით მცირე ფართობის ან ნაკლებკომფორტულ საცხოვრისში გადასვლა, რათა „ნამეტი“ ფართობის რეალიზაციიდან მიღებული თანხით საკუთარი და ოჯახის დანარჩენი წევრების სურსათში მიმდინარე მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინა.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ახლებურად აყენებს პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. – 1998 წელს საპენსიო ასაკი საქართველოში 5 წლით გაიზარდა – მამაკაცებისათვის 60-დან 65 წლამდე, ხოლო ქალებისათვის – 55-დან 60 წლამდე. ამის შედეგად, აგრეთვე ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ფაქტობრივი უცვლელობის გათვალისწინებით, მექანიკურად, **დაახლოებით 30 პროცენტით შემცირდა პენსიონერთა მიერ პენსიების მიღების ხანგრძლივობა.** საპენსიო თასმის აწევით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ წინასაპენსიო ასაკის (45-64) წლის სამსახურდაკარგული ადამიანები, რომლებმაც მასობრივი უმუშევრობის პირობებში სამსახურის ხელახალი შოვნის შანსი ფაქტობრივად დაკარგეს და თავისებურ „ყრუ ასაკობრივ სივრცეში“ (სამსახურისთვის უკვე „ხანდაზმულები“, პენსიისათვის კი – ჯერ კიდევ „ახალგაზრდები“) აღმოჩნდნენ.

საპენსიო ასაკის გადიდებით პენსიონერთა რიგებიდან დაახლოებით 300 ათასი ადამიანის „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩენამაც კი ვერ შეიტანა არსებითი გარდატეხა საპენსიო უზრუნველყოფის ხარისხობრივ პარამეტრებში საერთაშორისო შედარებების მხრივ. – **დღეისათვის საქართველოს მეზობელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალი საპენსიო ასაკობრივი თასმა და ყველაზე დაბალი საშუალო პენსია აქვს. – თუ საქართველოში იგი 48 აშშ დოლარია, სომხეთში – დაახლოებით 65 დოლარი, აზერბაიჯანში – 106.7 დოლარი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში – 220 აშშ დოლარი. ამასთან, საშუალო ხელფასთან საშუალო პენსიის თანაფარდობითაც ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს: საქართველო – 15.2%, სომხეთი – 20.1%, რუსეთის ფედერაცია – 34.0%, აზერბაიჯანი – 34.9%.**

ქვეყანაში წლიდან წლამდე უარესდება დემოგრაფიული მაჩვენებლები, გრძელდება მოსახლეობის დაბერება. **ამჟამად საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი დაახლოებით 38.7 წელია, რაც 2.6 წლით აღემატება 2002 წლისა და 5.1 წლით – 1989 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს;** დაბალია შობადობა (ფაქტობრივად განახევრებულია 1980-იანი წლების დონესთან), გრძელდება როგორც შრომისუნარიანი ასაკის პირების, ისე პენსიონერთა მასობრივი შრომითი მიგრაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ასეთ პირობებში პენსიონერთა მდგომარეობის საერთო ფონს ოდნავადაც ვერ ცვლის ზოგიერთი ბებიის „ყურადღებიან შვილიშვილთან“ ერთად უცხოეთში პერიოდული ვოიაჟი...

ერთი არაკი მახსენდება: ***ოდესღაც ერთ ქვეყანაში ულმობელი წესი არსებობდა – ხანდაზმულ ადამიანებს შვილები დიდ გოდორში სვამდნენ, კლდოვანი მთის წვერზე აყავდათ და იქიდან ღრმა ხევში აგდებდნენ. როდესაც ერთმა კაცმა ამგვარი გოდორის წვნა დაიწყო, მისი პატარა შვილი დაინტერესდა გოდრის დანიშნულებით. კაცმაც გულახდილად აუხსნა. ამის მოსმენისთანავე შვილმაც პატარა გოდორის წვნა დაიწყო, თან მამას აუხსნა, რომ მისთვის წნავდა. შეცბუნებულმა კაცმა გოდორის წვნას თავი ანება და თავის განზრახვაზე უარი თქვა.***

ქვეყანა რომ არ დაბერდეს, მას ყოველ ისტორიულ ეპოქაში მუდმივად ესაჭიროება ახალგაზრდა ნიჭიერი, ჯანმრთელი, პატრიოტი ახალგაზრდა თაობა. მაგრამ ის რომ დღეგრძელი იყოს, მას ასევე სჭირდება უფროსი თაობის წარმომადგენლებისადმი სათანადო ყურადღება და გულისხმიერი დამოკიდებულება. მარადიული ამქვეყნად არაფერია, მით უფრო **ახალგაზრდობა და ხელისუფლებაში ყოფნა.** ამიტომ, როგორი იქნება მთელი დღევანდელი საზოგადოების, ხელისუფლების დამოკიდებულება უფროსი თაობის წარმომადგენლებისადმი, იმგვარივე იქნება მათი დაფასება თანამედროვე და მომავალ თაობათა მიერ. სწორედ ახალგაზრდა თაობაა ზემოხსენებული არაკის „ბავშვის“ როლში, რომელიც ყურადღებით აკვირდება, თუ რას უმზადებს „მშობელი“ ხელისუფლება თავის „ბებია-ბაბუას“ – „დაწნულ გოდორს“ თუ საპატიო ადგილს ცხოვრებისეულ მაგიდასთან...



**იოსებ არჩვაძე,**
2009 წლის ნოემბერი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# საქართველომ მედვედევის კონცეფცია გააკრიტიკა

**საქართველოში ამტკიცებენ, რომ რუსეთს თავისი ახალი უშიშროების კონცეფციით სურს უჩვენოს ნატოს საკუთარი ძალები და უკარნახოს მსოფლიოს თავისი პირობები. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც კომენტირებას უკეთედა დიმიტრი მედვედევის ინიციატივას, „რუსეთს სჭირდება უშიშროების ისეთი მექანიზმი, რაც მას საშუალებას მისცემს ჰქონდეს შესაძლებლობა დაბლოკოს რაიმე მექანიზმები – ან ვეტოს უფლება, რომლის დროსაც შეუძლია უკარნახოს თამაშის წესები, ანდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები მხარე“.**

ეუთოსა და გაეროს ფარგლებში რუსეთი ღებულობს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მას ხელს აძლევს, მაგრამ ნატოს ჩარჩოებში ეს დაუშვებელია, „ამიტომ ახალ ხელშეკრულებაში საკითხი შეეხება იმას, რომ შეიმუშაოს ახალი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც რუსეთი თავად განსაზღვრავს წესებს ან, როგორც მინიმუმი, იქნება ამ გადაწყვეტილებათა თანაგანმსაზღვრელი“, – განმარტა მინისტრის მოადგილემ.

მედვედევის ინიციატივა ევროპის უშიშროების ახალი ხელშეკრულების შესახებ არის მხოლოდ იმის იმიტაცია, რომ მოსკოვი რჩება მთავარ მოთამაშედ საერთაშორისო არენაზე, მიაჩნია ექსპერტ ვასილ ჭყოიძეს. მისი სიტყვებით, ეს დოკუმენტი აბსურდულია და მას სერიოზულად არ განიხილავს არც ერთი ევროპელი ლიდერი.

რუსეთის მოქალაქეებს მოსწონთ, როდესაც მათი მთავრობა „ძალუმად აჟღარუნებს იარაღს“, საქართველოსთვის კი, რომელიც, რუსეთთან დიპლომატიურ და სხვა სახის ომის მდგომარეობაში იმყოფება, რუსეთის ასეთი მოქმედება, რასაკვირველია, არაპროგნოზირებადია“, – აცხადებს კობა ლიკლიკაძე.

მედვედევის წინადადება ევროპული უშიშროების შესახებ ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით „ეს არის უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს დიდ აგრესიულობას“, – განაცხადა ქართველმა ექსპერტმა ცოტნე მამულაშვილმა. მისი აზრით, „რუსეთს უკვე აღარ გააჩნია ის სამხედრო პოტენციალი, რომელიც ჰქონდა, თუნდაც, საბჭოთა კავშირის დროს, და ახლა იგი აქცენტს აკეთებს მასობრივი განადგურების იარაღზე“.

ამ დროს, როგორც ნატოსთან რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დიმიტრი როგოზინი აცხადებს, მან პირადად გადასცა ორშაბათს ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც რუსეთის მხარე სთავაზობს ნატოს, მის გენერალურ მდივანს ანდერს ფონ რასმუსენს.

ინიციატივის არსი ითვალისწინებს ევრო-ატლანტიკაში სამხედრო-პოლიტიკური უშიშროების დარგში „ერთიანი, განუყოფელი სივრცის შექმნას, რათა საბოლოოდ დავემშვიდობოთ ცივი ომის მემკვიდრეობას“. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი გვთავაზობს, განვამტკიცოთ საერთაშორისო სამართალში უშიშროების განუყოფლობის პრინციპი.

ამას გარდა, დოკუმენტის პროექტში არის წინადადება იმის შესახებ, რომ ახალი ხელშეკრულების მონაწილეს ჰქონდეს „უფლება განიხილოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა მონაწილეზე, როგორც შეიარაღებული თავდასხმა თავად მასზე“.

Утро.ru

**სერგეი სობაკინი**

# აგიტაციისა და პროპაგანდის მსხვერპლნი

**ოთხშაბათს ცხინვალში დანიშნულია სასამართლო ოთხ მოზარდზე, რომლებსაც ბრალი ედებათ 4 ნოემბერს საქართველო-ოსეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთა, ასაფეთქებელი ნივთიერების შენახვა და ტერორისტული აქტების მომზადება. მოზარდების ბედით დაინტერესდა ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი ადამიანთა უფლებების საკითხებში თომას ჰამარბერგი. ორშაბათს ის თბილისიდან ცხინვალს გაემგზავრა პრეზიდენტ ედუარდ კოკოითთან შესახვედრად.**

მოზარდების დაკავების პირველივე დღიდან საქართველოს ხელისუფლებამ მიმართა დასავლეთს – თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამამდე – თხოვნით, „მოახდინოს ზეგავლენა რუსეთზე და გაათავისუფლონ გატაცებული ბავშვები“. ევროპული ინსტიტუტების პასიურობამ გააღიზიანა საქართველოს პარლამენტის დეპუტატები, რომლებმაც თომას ჰამარბერგს ბრალი დასდეს „ქრონიკულ გაუზედაობაში, როდესაც საკითხი რუსეთს შეეხება“. თავად ჰამარბერგი ჩავიდა საქართველოში გასული კვირის ბოლოს. შეხვედროდა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას, კვირას მან ვერ შეძლო. ის მივიდა მხოლოდ საზღვრამდე – ერგნეთის იქით იგი არ გაუშვეს რუსმა და სამხრეთ ოსეთელმა მესაზღვრეებმა.

სოფელ ტირძნისის სკოლის მოსწავლეთა დაპატიმრების ისტორია ბუნდოვანი გახდა. 4 ნოემბერს გიორგი რომელაშვილი, ვიქტორ ბუჩუკური, ლევან ხმიადაშვილი და ალეკო ცაბაძე (უმცროსი 13 წლისაა, უფროსი – 15-ისძ მეცადინეობის შემდეგ სახლში არ დაბრუნებულან. მშობლებმა, რასაკვირველია, ატეხეს განგაში. იმავე დღეს სამხრეთ ოსეთის სამართალდაცვის ორგანოებმა გამოაცხადეს მათი დაპატიმრების შესახებ ცხინვალში. იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ დაკავებულებმა „გულახდილად აღიარეს ყველა თავიანთი დანაშაული“ და ეს ყველაფერი „გათვალისწინებული იქნება პროცესუალური ღონისძიების დროს“.

მაგრამ „გულახდილი აღიარება“ შემოწმების დროს აღმოჩნდა გამოცინცქლული – ზემოქმედების შედეგად. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ცხინვალის ოფისის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოინახულეს დაპატიმრებულები ცხინვალის იზოლატორში, უარყვეს თბილისური აგიტაციისა და პროპაგანდის „საფრთხოებელები“ ბავშვების ციხეში ყოფნის აუტანელი პირობების და მათი ქრონიკული დაავადების შესახებ, თუმცა ამავე დროს განაცხადეს, რომ მოზარდებმა მათი თანდასწრებით უარი თქვეს ადრინდელ ჩვენებებზე. წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს აცნობეს, რომ ერთ-ერთი მოზარდი აპირებდა სოფელ ხეითში თავის მშობლიურ სახლში ჩასვლას, დანარჩენები კი მას გაჰყვნენ თან. მოზარდებმა იცოდნენ, სად გადიოდა საზღვრები, მაგრამ სხვა ბრალდებებს ისინი არ აღიარებენ, ამტკიცებენ, რომ ჩანთაში ჰქონდათ მხოლოდ სახლიდან წამოღებული საჭმელი და საიდან გაჩნდა იქ ყუმბარა და ასაფეთქებელი ნივთიერება, წარმოდგენა არა აქვთ.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა ჩვენ გაზეთს აცნობა, რომ „ოსური მხარე ცდილობდა დაეწყო ჩვენთან მოლაპარაკება მოზარდებისთვის გამოსყიდვასთან დაკავშირებით“. „მათი წამოწყება ჩაიშალა“ – ჩვენ, ჩვენი მოქალაქეებით, მით უმეტეს ბავშვებით, არ ვვაჭრობთ. დამნაშავეების გაცვლას კი, რომლებიც იხდიან სასჯელს, ჩვენ არ ვაპირებთ. ეს ძალიან ბინძური ისტორიაა და რაც უფრო მალე გაუშვებენ ბავშვებს, მით უკეთესი იქნება ყველასთვის.

ამ დროს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გვაცნობეს კიდევ ერთი საქართველოს მოქალაქის გატაცების შესახებ „ოსურ-რუსული ფორმირების მიერ“. ეს არის რამაზ მაქასარაშვილი – სასკოლო ავტობუსის მძღოლი სოფელ ჯრიადან. საჩხერის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნოდარ აბჟანდაძის სიტყვებით, მძღოლის დანაშაულია ის, რომ მან საზღვრისპირა ხაზზე არ დაამუხრუჭა მანქანა და გადაკვეთა საზღვარი. „რამაზს ბრალს სდებენ საზღვრის გადაკვეთაში, თუმცა მას სახითაც ყველა იცნობს – მას ყოველდღე გადაჰყავს ბავშვები სკოლაში სოფელ პერევში, რომელსაც კონტროლს უწევენ რუსები და ოსები“. მან აგრეთვე განაცხადა, რომ დაპატიმრებული უკვე გადაიყვანეს ცხინვალში.

НЕЗАВИСИМАЯ газета

**იური სიმონიანი**



# პუტინი: თუ ვიყიდით „მისტრალს“, იმას იქ გამოვიყენებთ, სადაც მოვინდომებთ

**თუ რუსეთი გადაწყვეტს იყიდოს ფრანგული შვეულმფრენმზიდი „მისტრალი“, მას გამოვიყენებთ შეხედულების მიხედვით, განაცხადა რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა.**

„მისტრალთან“ დაკავშირებით ჩვენ საკითხი ჯერ არ გადაგვიწყვეტია. ჩვენ მყიდველები ვართ, თქვენ – გამყიდველები. არის სხვა კონკრეტული წინადადებებიც. არ არის გამორიცხული, რომ ვიყიდით“, – განაცხადა პუტინმა. როდესაც ფრანგი ჟურნალისტი შეეკითხა პუტინს, ხომ არ გამოიყენებენ „მისტრალს“ საქართველოს წინააღმდეგ, მან განაცხადა: „შემიძლია მხოლოდ დაგარწმუნოთ, რომ, თუ ჩვენ რაიმეს ვიყიდით, შეიარაღებას გამოვიყენებთ იქ, სადაც საჭიროდ ჩავთვლით“.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ რუსეთს განზრახული აქვს შეიძინოს საფრანგეთში „მისტრალის“ ტიპის ერთი ხომალდი, აგრეთვე ააშენოს ამ კლასის 4 ხომალდი საფრანგეთის მხარის ტექნიკური მხარდაჭერითა და ლიცენზიით. თუ გარიგება შედგა, საფრანგეთი მიჰყიდის რუსეთს ერთ შვეულმფრენზიდს, რომელიც შეიძლება არ იყოს აღჭურვილი შეიარაღებისა და რადარების სისტემებით. საყიდელის თანხა სავარაუდოდ 400-500 მილიონ ევროს შეადგენს. ამას გარდა, რუსეთის ფედერაცია მიიღებს ლიცენზიას 4 ხომალდის წარმოებაზე, რაც გარიგების საფასურს გაზრდის 1-1,2 მილიარდ ევრომდე.

თავიანთი შიში მომავალი შესყიდვის შესახებ გამოთქვეს უკრაინის, ბალტიისპირეთისა და საქართველოს ხელისუფლებმა. კერძოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ საქართველო „მეტად შეშფოთებულია“ რუსეთის შესაძლო შენაძენით. ასეთი ხომალდების დანიშნულების ადგილი შეიძლება იყოს მხოლოდ შავი ზღვა, დარწმუნებულია ვაშაძე.

ამ დროს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ვიცე-ადმირალი ოლეგ ბურცევი აცხადებს, რომ ხომალდების ბაზა იქნება არა ბალტიისა და შავი ზღვები, არამედ ჩრდილოეთის ზღვა და წყნარი ოკეანის ფლოტი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საფრანგეთის მხარე აწარმოებდა პროექტის პრეზენტაციას, რუსმა სპეციალისტებმა წაუყენეს ხომალდს თავისი მოთხოვნები: კერძოდ, იგი უნდა მოქმედებდეს ცივ კლიმატურ პირობებში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთს შეუძლია შეიძინოს ხომალდები, რათა უზრუნველყოს არქტიკაში კონტინენტალურ შელფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დროს თავისი უსაფრთხოება.

„მისტრალი“ – ეს არის უნივერსალური სადესანტო ხომალდი, რომელიც აერთიანებს შვეულმფრენისა და დოკიხომალდის ფუნქციებს. ცურვის სიშორე 20 ათას მილს შეადგენს (32 ათას კილომეტრიძ, სრული სვლის სიჩქარე – 18 კვანძზე მეტია. შვეულმფრენმზიდს შეუძლია ბორტზე აიყვანოს დესანტი 450 კაცამდე (მოკლე დროით ცხრაასამდეცძ. შვეულმფრენმზიდი შეიცავს 16 მანქანას, მათგან ექვსი ერთდროულად შეიძლება განთავსდეს ასაფრენ გემბანზე. ხომალდს ჰყავს 4 მსუბუქი სადესანტო კატარღა, ან ორი სადესანტო კატარღა ჰაერის ბალიშზე. სატვირთო გემბანზე შეუძლია განათავსოს 40-ზე მეტი ტანკი ან 70 ავტომანქანა.

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**„სოიუზი“ სამი კოსმონავტით ყაზახეთში დაეშვა**

**მიწაზე დაშვება მოხდა გეგმის მიხედვით. წინასწარი მონაცემებით ეკიპაჟი თავს ნორმალურად გრძნობს. ამჟამად ხომალდის დაშვების რაიონში ტემპერატურა დაახლოებით ნული გრადუსია. კოსმონავტები რომ არ გაყინულიყვნენ, მათ ცხელი ჩაი დაალევინეს, ჩასვეს სავარძლებში და თბილი ლეიბები გადააფარეს.**

* * *



**ბაიკონურიდან გაუშვეს რაკეტმზიდი „ზენიტი-3 სლბ“ კავშირგაბმულობის ამერიკული თანამგზავრით**

**თანამგზავრი უზრუნველყოფს ტელემაუწყებლობას და კავშირგაბმულობის სამსახურს რუსეთის ტერიტორიაზე, ახლო და შორეულ აღმოსავლეთში. დადებული კონტრაქტის შესაბამისად, რუსეთზე ამოქმედდება ექვსი ტრანსპონდერი.**

* * *



**აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანი ეუთოში ელჩად წავა**

**იენ კელის აქვს მრჩეველი მინისტრის დიპლომატიური რანგი. ის ამჟამინდელ თანამდებობაზე მუშაობს 2009 წლის მაისიდან. თავისუფლად ფლობს რუსულ ენას, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია რუსულ ლიტერატურაზე კოლუმბიის უნივერსიტეტში. მისი კანდიდატურა ელჩის თანამდებობაზე უნდა დაამტკიცოს ამერიკის სენატმა.**

* * *



**სომალიელმა მეკობრეებმა გაიტაცეს აშშ-ს ტანკერი, რომელზეც იყო 20 მილიონი დოლარის ღირებულების ნავთობი**

**მარან სინტურუსის ეკიპაჟი 28 კაცისგან შედგება: 9 ბერძენია, 2 უკრაინელი, რუმინელი და 16 ფილიპინელი. გატაცება განახორციელა 9 ბანდიტმა ორ სწრაფმავალ ნავზე. ტანკერი მიდიოდა სამხედრო ხომალდების თანხლების გარეშე დაბალი სიჩქარით – 11 კვანძით. იარაღის გამოყენების საფრთხე ნავთობიან ტანკერს მეტად მტკივნეულ სამიზნედ ხდის.**

# დეკემბერი – სამუშაოზე გამოცოცხლებაა

## ხარი - სამუშაო და კარიერა



თქვენ მუშაობთ ნაყოფიერად და ეფექტიანად და გრძნობთ, რომ შეგიძლიათ იკისროთ უფრო მეტი საქმე, ვიდრე ჩვეულებრივად. თანამშრომლებთან ურთიერთობა მთლიანად კარგად მიდის ამ თვეში, მაგრამ ნურავის იმედი ნუ გექნებათ —შეიძლება ვინმემ გიღალატოთ, და პასუხისმგებლობა შეცდომისთვის დაგეკისრებათ თქვენ.

### სიყვარული და ოჯახი

ამ თვეში წარმატებას სიყვარულში ნუ ელით, შეიძლება მოხდეს მოულოდნელი პაემანი ან რომანტიკული ვახშამი, მაგრამ თუ სიყვარული გინდათ და გზნება, მოგიწევთ მოცდა. დაოჯახებულებმა კი უნდა გაითვითცნობიერონ, რომ კონკრეტულად ვარდისფერი პერიოდი არ შეიძლება მუდმივად გრძელდებოდეს და იყავით მადლობელი თქვენი მეუღლისა იმისთვის, რომ მხარს გიჭერთ თქვენი სიყვარულის მგზნებარებაში.

## ძაღლი - სამუშაო და კარიერა



თქვენ ამჟამად თავისი სამუშაოთი დიდად კმაყოფილი არა ხართ და შეიძლება ელოდებოდეთ ცვლილებას. სამუშაომ შეიძლება ცხოვრებაში ახლა მეტი სტრესი მოგაყენოთ, ვიდრე სხვა დროს. მოიცადეთ მომავალი თვის დაწყებამდე, როდესაც მდგომარეობა უფრო წარმატებული იქნება.

### სიყვარული და ოჯახი

რაც შეეხება ურთიერთობას ამ თვეში, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ იმყოფებით გაურკვეველ მდგომარეობაში. არა აქვს მნიშვნელობა, გახდა თუ არა ამის მიზეზი თქვენი გაუბედაობა, რომელიც არ გაძლევთ საშუალებას წინსვლისთვის, ანდა დამნაშავეა თქვენი პარტნიორი. ნუ ებრძვით მას, რისი შეცვლაც უკვე აღარ შეიძლება.

## ვირთხა - სამუშაო და კარიერა



თქვენ აღსავსე ხართ ენერგიით და მზად ხართ ხელი მოჰკიდოთ ნებისმიერ საქმეს. ყველაფერი კი იმიტომ, რომ მუშაობთ კმაყოფილებით და მთელი გულით ცდილობთ საერთო საქმისთვის. მაგრამ არ ღირს ოჯახის გაწირვა სამუშაოს გულისთვის – უმჯობესია გამოძებნოთ მათ შორის გონივრული ბალანსი, ვინაიდან სწორედ ახლობლების სიყვარული და მხარდაჭერა იქნება თქვენთვის სუფთა ჰაერი, რომელიც ზოგჯერ ასე არ გვყოფნის სამუშაო დღეებში.

### სიყვარული და ოჯახი

ვირთხებისთვის, რომლებიც ადამიანებს ეძებენ, ყველაზე კარგი დროა დაამყარონ ახალი ურთიერთობანი. ეულ ვირთხებს არ ექნებათ თაყვანისმცემელთა ყურადღება. მაგრამ თუ გსურთ ვინმესთვის ჩანგლის გამოდება, იფიქრეთ, რომ იყოთ თავშეკავებული უცნობ გარემოშიც.

## გველი - სამუშაო და კარიერა



სამუშაოზე, ასე თუ ისე, ყველაფერი რიგზეა, იმ პირობით, რომ თქვენ თოკავთ თქვენს ტემპერამენტს. თქვენ შეგიძლიათ გაღიზიანებდეთ ყველაფერი ჩვეულებრივზე უფრო მეტად, ამიტომ თანამშრომელთა უმნიშვნელო შენიშვნამაც კი შეიძლება გაგაღიზიანოთ. ახალი ამოცანების გადაწყვეტა და ახალი ჩვევების შეძენა განუყოფელი ნაწილი გახდება თქვენი თითოეული სამუშაო დღისათვის. ელოდეთ ახალ შესაძლებლობას ამ თვეში.

### სიყვარული და ოჯახი

ვნებათა სასუფეველი, რომელშიც იმყოფებოდით მთელი თვის განმავლობაში, მიგატოვებთ. თქვენი სასიყვარულო ურთიერთობისთვის შეიძლება დადგეს ყველაზე მშფოთვარე დრო. ეული გველები, ალბათ, ძალიან დაკავებული იქნებიან სამუშაოზე, რათა მიხედონ თავიანთ ცხოვრებას. შეიძლება ეს უკეთესიც იყოს, ვინაიდან ნებისმიერი წარმატება გველებისა ამ თვეში, შეიძლება აორთქლდეს.

## ვეფხვი - სამუშაო და კარიერა



ერიდეთ ზურგში დარტყმას. ვეფხვებისთვის ეს რთული თვეა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დიდ კომპანიებში მუშაობენ. თუმცა საოჯახო ფირმებშიც შეიძლება წარმოიქმნეს ყოველგვარი საოფისე ინტრიგები. ერიდეთ ჭორებს, შეიძლება ისინი ერთხელ გამართლდნენ კიდეც.

### სიყვარული და ოჯახი

ერიდეთ მესამე მხარის ჩარევას. შეიძლება ვინმე შეეცადოს თქვენს ან თქვენი პარტნიორის დაყოლიებას. ერთიც და მეორეც უარყოფითად იმოქმედებს თქვენს ურთიერთობაზე. თუ განიცდით საშიშროებას, მაშინ უფრო შეგიძლიათ გაართვათ მას თავი მოულოდნელი წინადადებებით.

## მაიმუნი - სამუშაო და კარიერა



სამუშაოზე გამოცოცხლებაა. ხელმძღვანელობა, ბოლოს და ბოლოს, შეაფასებს თქვენს პოტენციალს და შეიძლება განდონ ახალი პროექტი ანდა გააფართოონ თქვენი უფლებამოსილება. ამას გარდა, თქვენ სულ უფრო ხშირად გიწვევენ კომპანიის სტრატეგიული გეგმების განხილვისთვის.

### სიყვარული და ოჯახი

თუ არაფერს აკეთებთ და მხოლოდ ელოდებით, რომ ვინმე გამოჩნდება და დაგიპყრობთ, მოგიწევთ ბევრი ცდა. ეულ მაიმუნებს კარგი შანსი აქვთ გამონახონ ახალი სიყვარული, მაგრამ ამისთვის საჭიროა ძალისხმევის გამოჩენაც.

## ცხენი - სამუშაო და კარიერა



არის შესაძლებლობა, გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა. თქვენი წარმატება სიმაღლეზეა, ამიტომ ფრთხილად გამოდით თქვენი იდეებით წინა პლანზე – თუ კუდში დარჩებით, სოლიდურ ჯილდოზე შეგიძლიათ დაივიწყოთ ყველაფერი.

### სიყვარული და ოჯახი

თქვენი წარმატების გასაღები სიყვარულსა და თქვენს სიტყვაკაზმულობაში, კომუნიკაბელობაშია. ილაპარაკეთ ის, რაც გინდათ თქვათ – და ბედი გაგიღიმებთ. თუ ახლო წარსულში თქვენსა და თქვენს საყვარელ ადამიანს შორის ჩნებოდა უთანხმოებანი, ყველაზე ხელსაყრელი დროა განიხილოთ ისინი. იყავით გულწრფელი გრძნობების გამოვლენაში და შეძლებთ ადვილად და სწრაფად გამონახოთ საერთო ენა პარტნიორთან და შეურიგდეთ მას.

## ურჩხული - სამუშაო და კარიერა

ამ თვეში თქვენ დასვენებისთვის არ გეცლებათ. მოგიწევთ გაიაზროთ ძველი პროექტები და განახორციელოთ ცხოვრებაში ახლები.



თუ იმედი გაქვთ, რომ წლის ბოლოს მიიღებთ პრემიას ან ხელფასის დანამატს, ეცადეთ იყოთ თავდაჭერილი და ზრდილობიანი. გაღიზიანება და განუჭვრეტელობა – სრულებითაც არ არის ის თვისებები, რასაც თქვენგან ხელმძღვანელობა ელოდება.

### სიყვარული და ოჯახი

ამჟამად თქვენ ვერ შეძლებთ პირადი ცხოვრების პრობლემებისთვის გვერდის ავლას. ვარსკვლავები ძალიან კეთილად არ არიან განწყობილი, ამიტომ ნუ შეეცდებით მოახდინოთ შთაბეჭდილება მათზე, ვინც თქვენ მოგწონთ. დაოჯახებული ურჩხულები თავს ვერ დააღწევენ ამ თვეში უსიამოვნებას თავიანთ მეუღლეებთან. შეეცადეთ ხშირად წახვიდეთ კომპრომისებზე. ყოველთვის, როდესაც ცდილობთ დაამტკიცოთ თქვენი სიმართლე, ეწევით რისკს – გააუარესოთ ურთიერთობა იმდენად, რომ დაგჭირდებათ ბევრი დრო მის აღსადგენად.

## ბოცვერი - სამუშაო და კარიერა

წინასაახალწლო „კორპორატივები" – თანამედროვე საოფისე ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ გახსოვდეთ, რომ დღესასწაული დამთავრდება და დაიწყება გამოფხიზლება. ნუ იქნებით ძალიან გულახდილი კოლეგებთან, განსაკუთრებით ხელმძღვანელებთან. ეცადეთ, თავი დაიჭიროთ ღირსეულად. დღესასწაულებს შეიძლება მოჰყვეს ჯანმრთელობის დაზიანება, რომელიც ამ თვეში ისედაც სახიფათოა. ამიტომ ეცადეთ გააწონასწოროთ სიმხიარულე ჯანმრთელობასთან და კეთილდღეობასთან ოჯახში.

### სიყვარული და ოჯახი



თუ თქვენ ცხოვრებაში არ გყოფნიდათ სასიყვარულო რომანტიკა, ამ თვეში კუპიდონმა შეიძლება გაასწოროს თქვენთან თავისი ვალი. თქვენ შეიძლება შეხვდეთ თქვენი ცხოვრების სიყვარულს თითქოსდა ყველაზე მოუხერხებელ ადგილას. ნუ შეეცდებით წინასწარ წარმოიდგინოთ, როგორი უნდა იყოს თქვენი პარტნიორი. თქვენი სიყვარული შეიძლება სულაც არ ჰგავდეს იმას, როგორიც თქვენ მოიფიქრეთ.

## მამალი - სამუშაო და კარიერა

პასუხსაგები დავალებანი ამ თვეში თქვენთვის იოლი გადასაჭრელი იქნება, მაგრამ მაინც ბევრი რამ



უნდა ისწავლოთ. თქვენს ჰოროსკოპში მოჩანს დაწინაურება სამსახურში, მაგრამ ნუ იქნებით მოუთმენელი. თქვენ შეიძლება აღმოჩნდეთ ორმხრივი ცეცხლის ქვეშ, როდესაც ვინმე მოინდომებს თქვენს დაწინაურებას, ვინმე კი წინააღმდეგი იქნება. იყავით ფრთხილი, როდესაც საქმე გაქვთ მასთან, ვინც თქვენზე მაღლა დგას, ნურავის მხარეს ნუ დაიჭერთ ძალიან აშკარად. თქვენ შეიძლება სიმპათიური იყოთ ვინმესთვის, მაგრამ თქვენი გრძნობები მოთოკეთ და ნუ მიიღებთ მონაწილეობას ჭორებში.

### სიყვარული და ოჯახი

მათთვის, ვინც სიყვარულს ეძებს, შეხვედრები ძველ მეგობრებთან საუკეთესო საშუალებაა გაიცნოს ახალი ადამიანები. და თუ თქვენ ჯერ კიდევ ვერ შეხვდით ისეთ ვინმეს, ვინც მოგწონთ, დადგა ამჟამად თქვენი წარმატებული თვე. თქვენ გაქვთ „ციური კურთხევა" და შანსები მოიპოვოთ წარმატებული ურთიერთობანი. მიეცით თავს დავალება, იყოთ შეკრებებზე და სადღესასწაულო შეხვედრებზე.

## ცხვარი - სამუშაო და კარიერა



სამუშაოზე თქვენ სარგებლობთ გულწრფელი დამოკიდებულებით თანამშრომელთა მხრიდან, რომლებიც აფასებენ თქვენს საქმიან თვისებებს. თქვენ თავად კარგი განწყობილება არა გაქვთ, თუმცა ადვილად ჩუქნით სხვას სიხარულს და ბედნიერებას.

### სიყვარული და ოჯახი

ამ თვეში თქვენ შეგიძლიათ ახლებურად შეაფასოთ თქვენი პარტნიორი. წარმატებული დროა ქორწინებისთვის, ნიშნობებისა და გადაწყვეტილებისთვის იყოლიოთ ბავშვი. თუ თქვენს ურთიერთობაში იყო რაიმე პრობლემები ფულთან დაკავშირებით, დადგა დრო განიხილოთ ისინი თქვენს პარტნიორთან ერთად.

## ტახი - სამუშაო და კარიერა

სამუშაოზე უნდა იყოთ მშვიდად. რასაკვირველია, პატივს უნდა სცემდეთ სამუშაოს, მაგრამ თავი აარიდეთ მკაცრ ტაქტიკას, რათა მიაღწიოთ მიზანს. თუ რაიმე ხელს არ გაძლევთ თქვენს სამუშაოზე, ალბათ, უკეთესი იქნება ენას კბილი დააჭიროთ და მოიცადოთ რამდენიმე კვირა. თუ თქვენ იტყვით რაც ენაზე მოგადგებათ, შეიძლება აღმოჩნდეთ მოულოდნელ უსიამოვნებაში.



### სიყვარული და ოჯახი

ეს რთული დროა სასიყვარულო საქმეებისთვის. სულელურმა დავამ შეიძლება მიგიყვანოთ უფრო სერიოზულ სირთულეებთან, თუ ორივე პარტნიორი დათმობაზე არ წავა. ეცადეთ არ ისაუბროთ იმპულსურად, ვინაიდან წამოცდენილი სიტყვა შეიძლება უკანვე დაგიბრუნდეთ. გამოიჩინეთ დიდსულოვნება და წადით დათმობებზე! ეს სარგებელს მოგიტანთ.



ლილიან ტუს წიგნების სერიიდან – „ბედი და ფენ-შუი: თქვენი ასტროპროგნოზი 2009 წლისთვის".

**ჭადრაკი**

# მედლებიც, ფულიც



**მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში საინტერესო საჭადრაკო ტურნირები იმართება, რომლებშიც წარმატებით მონაწილეობენ ქართველი დიდოსტატები.**

ტეხასის შტატის ღია პირველობაში რვა ქვეყნის 10 წარმომადგენელი ცდიდა ძალებს წრიული სისტემით. 9 შესაძლებლიდან 6 ქულით პირველი ადგილი ზვიად იზორიამ (სურათზე) დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი გიორგი ყაჭეიშვილს ხვდა. 5,5 ქულით მესამე ადგილზე კოსტარიკელი ალეხანდრო რამირესი გავიდა.

პალმა-დე-მალიორკას ტურნირში 33 ქვეყნის 158 მოჭადრაკე იბრძოდა პირველობისთვის, მათ შორის – ორი ქართველი დიდოსტატი. ლევან გელაშვილმა 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა და ჯილდოდ 600 ევრო ხვდა. 5 ქულით ქალებში მე-2 იყო ანა მათნაძე.

გუშინ თურქეთის ქალაქ კონიაში ქალებისთვის პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის მსოფლიოს თასის პირველი გათამაშება დაიწყო სწრაფ ჭადრაკში, რომელშიც 12 მანდილოსანი იბრძოლებს მთავარი პრიზისთვის. ერთ-ერთი გახლავთ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ლელა ჯავახიშვილი.

**ძიუდო**

# ნიჟარაძის ხსოვნას მიეძღვნა



**სახელოვანი ქართველი ფალავნის, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის, ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულის, ვერცხლის პრიზიორისა და სამგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელის ჯიბილო ნიჟარაძის ხსოვნას პატივს მიაგებს ქართული ძიუდოს ოჯახი და ყოველწლიურად იმართება მისი მემორიალი.** წლეულს ჭაბუკთა ტურნირი მეთორმეტედ მოეწყო შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში. საინტერესო ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ გიორგი ნათათრალაშვილი (50 კგძ, ნიკოლოზ ხორბალაძე (55ძ, აპოლონ ზურაბიანი (60ძ, თომა თავზარაშვილი (66ძ, სოსო ფურელიანი (73ძ, ლაშა ტაველური (81ძ, გიორგი პარუნაშვილი (90ძ, უშანგი გასიტაშვილი (მძიმე წონაძ.

**სიახლე**

# ფინალის „სახე“




**კვირის დამდეგს ფეხბურთის ევროკავშირმა ჰამბურგში გამართულ საგანგებო ცერემონიაზე უეფას ევროპის ლიგის ვიზუალური გაფორმების კონცეფცია წარადგინა და, ამავდროულად, 12 მაისს „ჰამბურგ არენაზე“ გასამართი ფინალური შეხვედრის ბილეთების გაყიდვა დაიწყო.**

ტურნირის მთავარი თამაშისთვის უნიკალური დიზაინი და ლოგოტიპი შეიმუშავეს, რომელსაც ყველა სარეკლამო ელემენტზე გამოსახავენ – დაწყებული ბილეთებიდან ინტერნეტის ბანერებით დამთავრებული. ყოველივე ამის მიზანია ფინალური შეხვედრისადმი ინტერესის გაღრმავება და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სპორტული შეჯიბრების პრესტიჟის ამაღლება.

**ადამიანი დროში**

**მოგეხსენებათ, წლეულს ღირსეულად აღინიშნა ქართული რაგბის 50 წლისთავი.**

**როცა ოვალური ბურთის ჩვენებურ ოსტატთა წარმატებებს ნახევარსაუკუნოვანი გადასახედიდან ვაფასებთ, სათანადო პატივი უნდა მივაგოთ ძველ გვარდიას. მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი რამაზ სანებლიძე დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ სტუმარია.**

# რამაზ სანებლიძე: მთავარია სულიერება და ოჯახი



ვიდრე მრავალნაცად ვეტერანთან საუბარს შემოგთავაზებდეთ, მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ მისი მდიდარი სპორტული ბიოგრაფიის ზოგიერთ ფურცელს.

უცხო ხილის გემო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას პირველმა მწვრთნელმა ირაკლი ჯალალაშვილმა დააჭაშნიკებინა, ხოლო შემდეგ ნოდარ ყიფიანი და დავით დავითაია ავარჯიშებდნენ.

საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილმა წევრმა, რომელიც ბრიტანელ „პინგვინებთან“ ვაკის სტადიონზე გატანილი სანუკვარი ლელოთი ამაყობს, საყვარელ სახეობას ბოლომდე უერთგულა და თამაშის დასრულების შემდეგ მომავალ თაობათა დაფრთიანება დაიწყო. მის სახელს უკავშირდება მრავალი ნიჭიერი მორკინალისთვის დიდი სარბიელისკენ ბილიკის გაკვალვა და დედაქალაქის „ლოკომოტივის“ ყველა წარმატება თუ მარცხი გასული საუკუნის 70-იან წლებში.

სტუდენტთა საკავშირო ნაკრების მეორე მწვრთნელს (მთავარი მწვრთნელი ედუარდ კოზზევი გახლდათძ განსაკუთრებულად 1988 წელს საფრანგეთში გამართული სტუდენტთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ახსენდება, სადაც ქართველთა შესანიშნავი შვიდეულით (ზაზა ბაკურაძე, თამაზ ხუაძე, გია გიუნაშვილი, შავლეგ ჯანელიძე, ნუგზარ ძაგნიძე, ალექსანდრე ხვედელიძე, გიორგი ღვინიაშვილიძ გაძლიერებულმა „დერჟავის“ კრებულმა სასწაული მოახდინა და ძაგნიძის მიერ გატანილი გადამწყვეტი საჯარიმოთი ფინალში თვით ახალი ზელანდია დასცა – 12:9.

**– ბატონო რამაზ, რაგბიში ძალ-ღონე უფრო მეტად ფასობს თუ ჭკუა-გონება?**

– კარგი ფიზიკური მონაცემები, შრომა და ნიჭი. ერთობლივად ყოველივე ეს კარგ შედეგს იძლევა.

**– იურისტობა გვერდზე გადადეთ და რაგბს მიანიჭეთ უპირატესობა. რატომ?**

– რაგბიმ უამრავი ახლობელი შემძინა. მათთან მეგობრობას ყველაზე მეტად ვაფასებ.

**– ელიტარული გუნდებიდან რომლებს გამოარჩევთ?**

– უელსს და საფრანგეთს. თუმცა, სპორტული შედეგებით ოკეანეთის გუნდები (ახალი ზელანდია, ავსტრალიაძ უფრო წინ დგანან.

**– საქართველოს რაგბის კავშირის საქმიანობაზე რას იტყვით?**

– ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ. მართვა დაიხვეწა, უფრო კოლეგიალური გახდა.

იმის თქმაც მინდა, რომ რაგბი დღეს არ დაწყებულა და დღევანდელმა თაობამ არ იცის ძველი მორაგბეები: სერგო ხაჭაპურიძე, გივი ავლასტიმოვი... ინგლისი რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ლონდონის აეროპორტში ინგლისელმა მორაგბეებმა თავიანთი მედლები ვეტერანებს ჩამოკიდეს...

პირველად რომ გავიდნენ „ბორჯღალოსნები“ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ჩვენს ვეტერან მორაგბეებს რაგბის კავშირის მაშინდელმა თავკაცმა გული დაწყვიტა და ზეიმის თანამონაწილენი არ გახადა. დასანანია, რომ საკმარისი პატივისცემა არ ჰქონდა მრავალი თაობის აღმზრდელს ნოდარ ყიფიანს...

რაგბის კავშირის საქმიანობაში არც ის მომწონს, რომ უამრავი ქართველი მორაგბე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიდის საფრანგეთში სათამაშოდ.

სანამ მოთამაშე შიდა შეჯიბრებებში არ დაღვრის ოფლს, მანამ არ უნდა მივცეთ მას უცხოეთში წასვლის ნებართვა. „უპრაგონო“ გადინებამ შეიძლება ჩააგდოს ჩვენი რაგბი. ტესტირება და შეზღუდვა უნდა მოხდეს უცხოეთში წასვლის მსურველებისათვის. მე ვამბობ შეზღუდვას და არა აკრძალვას.

**– რაგბი ბევრ რაიონში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი. რატომ?**

– მარტო ენთუზიაზმით ძნელია დიდი რაგბის განვითარება. მხოლოდ პირადი ურთიერთობებით ფონს ბოლომდე ვერ გავალთ. რაგბის განვითარებას სახელმწიფო სისტემამაც უნდა შეუწყოს ხელი. უნდა წავახალისოთ ბიზნესმენები, ვინც რაგბის დაეხმარებიან. სახელმწიფო მხარდაჭერა თუ იქნება, რაგბი ყველა რაიონსა და სოფელში დაინერგება.

**– ჩვენს ნაკრებსა და ეროვნულ ჩემპიონატს როგორ შეაფასებთ?**

– ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავედით, რითაც ყველაფერია ნათქვამი. რაც მთავარია, გუნდი ამჟამად სწორი გზით მიდის. რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, მისადმი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს და ფინანსური რესურსები მარტო ნაკრებს არ უნდა მოხმარდეს.

მოკლედ, პოტენციალი ქართულ რაგბის უფრო მეტი აქვს, ვიდრე შედეგები...

**– ხალხური ლელობურთის აღორძინებაზე რას გვეტყვით?**

– ლელო მრავალსაუკუნოვანი ბურთაობაა, უშუალო კავშირშია რაგბის დღევანდელ პოპულარობასთან. ეს ხალხური თამაში მივიწყებასაა მიცემული და მას აუცილებლად სჭირდება აღორძინება.

**– სხვადასხვა თაობის ბევრი ქართველი მორაგბე დღეს საკმაოდ წარმატებულია ჩვენს საზოგადოებაში. რითი ახსნით ამას?**

– რაგბის რაინდული ბუნება ერთია, მაგრამ მთავარია სულიერება და ოჯახი. ძველი და ახალი თაობის მორაგბეებმა ერთმანეთის გატანა და სიყვარული იციან, რაც ძალიან მახარებს.

ესაუბრა
**გაბრიელ ბარჯაძე**

**ინტერნეტიდან**

## 33-ე „გოჭი“?



**საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთან ტიერი ანრის ხელით თამაშით უმოწყალოდ დაჩაგრულმა ირლანდიის ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ ფიფას ერთობ უჩვეულო თხოვნით მიმართა:** ირლანდიელები 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თავიანთი გუნდის 33-ე მონაწილედ დაშვებას ითხოვენ. ამის შესახებ განაცხადა საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის თავკაცმა ზეპ ბლატერმა, რომელმაც დასძინა, რომ აღნიშნულ საკითხს ოთხშაბათს, 2 დეკემბერს განიხილავენ.

## ჯანდაბას მანქანა!



**„ელ კლასიკოდ“ წოდებული მადრიდის „რეალის“ „ბარსელონასთან“ დაპირისპირებაში დამარცხებით სამეფო კლუბის ფეხბურთელთა „თარსი“ სერია ამით არ დასრულებულა.** კატალონიიდან ვალდებებასში თავის ბაზაზე დაბრუნებული ფეხბურთელები იქიდან სახლებში თავიანთი მანქანებით დაბრუნდნენ, მაგრამ გზაში „რეალის“ ფრანგი თავდამსხმელის ქარიმ ბენზემას „აუდიმ“ გზატკეცილის ჯებირი გაანგრია და მუხის ხეს შეასკდა. მართალია, საათში 50 კილომეტრის სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა მაგრად დაიმტვრა, მაგრამ თავად ახალგაზრდა ფეხბურთელი, საბედნიეროდ, არ დაშავებულა.

## თავგასული სერენა

**დიდი შლემის ტურნირების კომიტეტმა მსოფლიო WTA რეიტინგით №1 ჩოგბურთელი ქალი სერენა უილიამს 82,5 ათასი დოლარით დააჯარიმა. საყოველთაო აზრით, სერენა უილიამსი მადლობელი უნდა იყოს, რომ სასჯელი საკმაოდ ლმობიერია.**



შეგახსენებთ, რომ ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში ბელგიელ კიმ კლიისტერსთან შეხვედრის წაგებისას განაწყენებულმა მატჩბოლის გათამაშებისას ხაზის არბიტრს შეურაცხყოფა მიაყენა. „ამ ბურთს ჩაგჩრი მაგ მყრალ პირში!“ – მიახალა მან მსაჯს, რის გამოც საჯარიმო ქულა მიუთვალეს, რაც საბედისწერო აღმოჩნდა.

გარდა ამისა, კომიტეტის გადაწყვეტილებით, თუკი უახლოეს ორ წელიწადში სერენა უილიამსი მსგავს საქციელს გაიმეორებს, ჯარიმა 175 ათას დოლარამდე გაიზრდება, თავად ჩოგბურთელს კი დიდი შლემის ერთი ტურნირით დისკვალიფიკაციას მისცემენ.

◉ დედაქალაქი

# გასული კვირის სიახლენი






### პატივგება დიდ ქორეოგრაფს

დედაქალაქში დიდი ზეიმით აღინიშნება სახელგანთქმული ქორეოგრაფის ნინო რამიშვილის საიუბილეო დღეები. ჭავჭავაძის გამზირზე „მზიურქალაქის“ სიახლოვეს, პირველ ჩიხს ქალბატონი ნინოს სახელი მიენიჭა მის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

### ტაძარი ძველ ნატაძრალზე

აბანოთუბნით დასაწყისში უხსოვარი დროიდან იდგა მცირე სამლოცველო ნაგებობა. არქეოლოგიური გათხრების დროს აქ უამრავი ნაკეთობა აღმოაჩინეს — კერამიკა, ბრინჯაოს ნივთები და სხვა. ამ დღეებში ნატაძრალზე ორმოც მოწამეთა სახელობის ეკლესია გაიხსნა. დაგეგმილია ტაძრის პირველ სართულზე აქვე ნაპოვნი ნივთებისათვის მცირე მუზეუმის მოწყობა.

### მეიდანს უსაფრთხოდ გადაკვეთავთ

მეიდანზე დასრულდა და მწყობრში ჩადგა მიწისქვეშა გადასასვლელი, რომელიც მოქალაქეებს საიათნოვას ძეგლიდან შარდენამდე უსაფრთხოდ გადასვლაში მოემსახურება.

### ჩინური ბირლიანდებით განათებული ღამე





რუსთაველის გამზირი ჩინეთიდან ჩამოტანილი ბირლიანდებით მოირთო. აქვე დამონტაჟდა მოციმციმე, ქალის ოთხმეტრიანი ფიგურა. ღამით განათებული გამზირი შანხაის სავაჭრო უბანს დაემსგავსა. ისე გემოვნებაზე არ დავობენ, სამაგიეროდ სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ეს ნათურები ბევრად ეკონომიურია. ალბათ მოჭუტული თვალით, ჩინელებივით თუ შეხედავთ.

**ელგუჯა ნადარეიშვილი**
**ავტორის ფოტო.**

◉ პერიოდიკა

# გამოვიდა რეზო ჭეიშვილის გაზეთი...

**იწურება ერთი წელიც და ჩვენი ძვირფასი რეზო ჭეიშვილი თავისი გაზეთის მორიგ ნომერს სცემს — „ბაგრატი 2009“. გაზეთი ყოველდღიური გამიგია, ყოველკვარტალური გამიგია, ყოველკვირეულიც გამიგია, მაგრამ — ყოველწლიური?!. ასეა, რეზო „უცნოურმა“ 2007 წელს გამოსცა ამ გაზეთის პირველი ნომერი და აი, უკვე მესამე ნომერი მისახსოვრა (კიოსკებშიც დაარიგა, რაღა თქმა უნდაძ.**

მისი სიამაყე და მისი სატკივარიც (როგორც ყველა ძირძველი ქუთაისელისაძ ხომ ბაგრატის ტაძარია, რომლის ბიოგრაფიის სიდიადე დაედო კიდეც საფუძვლად თვალსაჩინო ქართველი მწერლის წიგნუკას (ასე უწოდებს თვითონძ „მესამე გზა“, რომელშიც ბატონი რეზო სრულიად საქართველოს, მის დღევანდელ ხელისუფლებას სთავაზობს თვალსაზრისს, რომელმაც, ალბათ, საქართველო უნდა გააერთიანოს, ქართველი და აფხაზი ერთ ჭერქვეშ აცხოვროს. ამ თემას კვლავაც უბრუნდება რეზო ჭეიშვილი და თავის გაზეთში ბეჭდავს ვრცელ ინტერვიუს, რომელსაც, უეჭველია, ინტერესით გაეცნობა მკითხველი.




ამ ორმოცგვერდიან გაზეთში მოთავსებულ მასალებს ცალ-ცალკე რა განიხილავს, არადა, დამერწმუნეთ, ერთი-მეორეზე უკეთესია ისინი, ძირითადად, რა თქმა უნდა, თავად ბატონი რეზოს ნაწერი, ზოგს თავისებური ირონია და სარკაზმი ახლავს, ზოგს — სევდა, ზოგი წარსულში გვახედებს, ზოგიც მონატრებაა წარსულისა და, მიუხედავად თავისი სამშობლოს აბურდულ-დაბურდული ვითარებისა, დღევანდელობასაც იმედიანად შეჰყურებს მწერალი.

იმედი არ მოგვიშალოს, რეზო ბატონო, აი, ნელა რომ ჩქარობ, რა შესანიშნავი ნომერი გამოსულა, გილოცავთ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ მსუბუქი სასჯელი

# ვინ რატომ მიემხრო „ვარდოსნებს“

**„ვარდების რევოლუციის“ დროს, შევარდნაძისდროინდელი ბევრი საშუალო და დაბალი რანგის ჩინოვნიკი დაუფარავად მიემხრო „ნაციონალებს“. თუმცა მათ არც იდეოლოგიური მრწამსი აერთიანებდათ და არც სამშობლოს უკეთესი მომავლისკენ სწრაფვა.. იმ დღეებში ბევრი ამგვარი ყვარყვარესაგან გაიგონებდით: „ბაბუ დაბერდა და წამსვლელია“, „ნაცმოძრაობა ხელისუფლების სათავეში აუცილებლად მოვა“, „ჩვენც ცხოვრება გვინდა“...**

„ცხოვრებაში“ ისინი თანამდებობრივ დაწინაურებებს და ძველი მეთოდებით მუშაობის გაგრძელებას გულისხმობდნენ. ბევრი მათგანი მართალია საწყის ეტაპზევე დააწინაურეს, მაგრამ შემდეგ სხვადასხვა ეკონომიკური თუ ფინანსური მაქინაციისთვის ან გაანთავისუფლეს ან დააპატიმრეს. ზოგიერთმა დღემდეც შემოინახა თავი.

თავშემონახულთა რიცხვში შედიოდა გურჯაანის გამგებლის პირველი მოადგილე დავით ქათამაშვილი. იგი შევარდნაძის მმართველობის დროიდან — 2001-2004 წლებში ჯერ კახეთის სამხარეო კონტროლის პალატის ინსპექტორად, შემდეგ კი თელავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის განყოფილების უფროსად მუშაობდა.

შექმნილ სიტუაციას ქათამაშვილმა სწრაფად აუღო ალღო და „ვარდებს“ მიემხრო. გარჯა დაუფასდა. ჯერ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ, შემდეგ კი პირველ მოადგილედ დანიშნეს... სწორედ აქ გამოავლინა თავისი სრული „შესაძლებლობები“: კახეთის საინფორმაციო ცენტრის განცხადებით, გამგებლის პირველი მოადგილე ადგილობრივ მეწარმეებს წილებს სთხოვდა, სანაცვლოდ ხელშეუხებლობასა და ხელშეწყობას ჰპირდებოდა. იგი საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს კონკრეტული პირების სამსახურიდან განთავისუფლებასა და მისთვის სასურველთა დანიშვნას აიძულებდა.

მსგავსი ფაქტები იმდენად მრავლად იყო, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა ქათამაშვილი თანამდებობიდან მოეხსნა.

გურჯაანელებს აინტერესებთ — გამგებლის პირველი მოადგილის მიმართ მხოლოდ მოხსნით შემოიფარგლებიან, თუ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება?

◉ უსწორო სამართალი

# აბსურდი

**როდესაც პოლიციას ვინმეს ციხეში ჩასმა უნდა, ისეთ არარეალურ ჩვენებას აწერინებს მოწმეს (ხშირ შემთხვევაში ცრუ მოწმესძ, რომ სტრასბურგში ჩასულ საქმეებზე იქაური მოსამართლეები ერთდროულად გაოცებასა და აღშფოთებას ვერ მალავენ. ისინი განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც აშკარად პოლიციის „მოპოვებულ“ მასალებს ერთი ხელის მოსმით ამტკიცებენ.**

ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვა-რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს ვახტანგ დილმელაშვილი. მისი დაკავების მიზეზი გახდა დავით ტვილდიანის ჩვენება, რომელიც ხელს ადებს დილმელაშვილს, 8 გრამი „სუბუტექსი“ სწორედ მისგან შევიძინეო. ტვილდიანმა დაპირისპირების დროს ვერ ამოიცნო „რეალიზატორი“. მან აგრეთვე ვერ დაასახელა ადგილი, სადაც ხვდებოდა დილმელაშვილს.

ამას ხელი არ შეუშლია მოსამართლისათვის, გადამყიდველ დილმელაშვილისთვის 10 წლითა და ცხრა თვით პატიმრობა მიესაჯა. ხოლო 8 აბით ხელში დაკავებული ტვილდიანი საპროცესო გარიგებით გაენთავისუფლებინა და პირობითი სასჯელი მიესაჯა.

მოსამართლეს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილება აძლევს, რომლის მიხედვითაც საკმარისია ერთმა პირმა მეორეზე თქვას, რომ ნარკოტიკი მისგან შეიძინა, პოლიცია ვალდებულია „რეალიზაციაში“ ეჭვმიტანილზე სისხლის სამართლის საქმე აღძრას და დააკავოს. იწყება ჩხრეკა, დაკითხვები. თუ ნარკოტიკს ვერ აღმოუჩენენ, საპროცესო გარიგებას სთავაზობენ.

თუ დაკავებული გაჯიუტდა, იწყება მისი მუდმივი შევიწროება...

**ზაზა ბილიხოძე**

## განცხადება

**2009 წლის 21 დეკემბერს 15 საათზე შედგება სს „ბალნეოლოგიურ კურორტ სამტრედიას“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ბალნეოლოგიურ კურორტ სამტრედიას“ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად დაყოფა და 74,37-პროცენტიანი წილის მქონე პარტნიორის დამოუკიდებელ საწარმოდ გამოყოფა.

აქციონერთა სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2009 წლის 20 დეკემბერი.

აქციონერებს შეუძლიათ საერთო კრებაზე მათი მონაწილეობის შესახებ განაცხადონ დირექტორთან და მიიღონ დეტალური ინფორმაცია დღის წესრიგთან დაკავშირებით.

საერთო კრება ჩატარდება სააქციო საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. სამტრედია, ეგრისის ქ. №56.

**ადმინისტრაცია**

**თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები სამძიმარს უცხადებენ თემურ, მიშიკო, ლევან, ირაკლი დარახველიძეებს მეუღლის და დედის**
**იზა ერისთავი-დარახველიძის**
**გარდაცვალების გამო.**

---

**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 1961 წლის 484-ე ჯგუფის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი**
**ბეგლარ ნერსეზაშვილი**
**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი, ს.ს. „კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის ექიმ მეან-გინეკოლოგს, მედიცინის დოქტორს, ქალბატონ მედეა ზარნაძეს გარდაეცვალა ძმისშვილი**
**მამუკა ზარნაძე**
**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

## ყველაფერი ყველაფერზე

### ომის ყველაზე თავხედური გამოცხადება

ომის სულ სხვადასხვანაირი გამოცხადება არსებობს. რაც შეეხება სულთან მუჰამედ IV-ის (1641-1691წ მიმართვას ავსტრიის იმპერატორ ლეოპოლდ I-ისა (1690-1705წ და პოლონეთის მეფე იან სობესკისადმი (1629-1696წ, მას, საერთოდ, ანალოგი არა აქვს:



— შენს წინააღმდეგ, იმპერატორო, ჩვენ ვგზავნით 13 მეფესა და მილიონ სამასი ათას რაინდს! ეს აქამდე არნახული სიმძლავრის არმია, რომელსაც არა აქვს დანდობის გრძნობა, დედამიწის პირიდან აღგვის შენს საცოდავ იმპერიას. გიბრძანებთ, მოგვიცადო შენს სატახტო ქალაქ ვენაში, მოემზადონ თავის მოსაჭრელად. დეე, იგივე გააკეთოს ამ არარაობამ, პოლონეთის მეფუკამ. სადაც კი ფეხს დავდგამთ, მოვსპობთ ყველა შენს ახალზედას, ყველა ურჯულოს. თქვენს ბავშვებსა და მოხუცებს ჯერ გულიანად დავტანჯავთ, შემდეგ კი დაუნდობლად, სამარცხვინოდ დავხოცავთ. შენ და პოლონეთის მეფეს იმდენი ხნის სიცოცხლეს მივცემთ, სანამ დარწმუნდებით ჩვენი მუქარის საფუძვლიანობაში".

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ისიც ხომ უნდა ვთქვათ, რა შედეგები მოჰყვა ამ მართლაცდა უმაგალითო მუქარას. 1683 წლის 12 სექტემბერს ავსტრიელების დასახმარებლად მოსულმა მეფე იან სობესკიმ ვენასთან ახლოს გამანადგურებელი დამარცხება აგემა თურქეთის არმიას და ამით შეაჩერა მისი წინსვლა ცენტრალური ევროპისკენ.

### კარგი და „არაჩვეულებრივი" მოსასხამი

უკვე სიკვდილმისჯილ სოკრატეს აპოლოდორემ შესთავაზა თავისი ლამაზი მოსასხამი, რომლითაც უნდა დაემარხათ. სოკრატემ შორს დაიჭირა: „ჩემი საკუთარი მოსასხამი კარგი იყო რომ მსხმოდა და ახლაა ცუდი, რომ უიმისოდ მოვკვდე?"

ერთხელ ანტისფენე სპეციალურად მობრუნდა, რომ მისთვის დახეული მოსასხამი ეჩვენებინა. სოკრატე მიუხვდა: „აი ამ დახეულ მოსასხამში მოსჩანს შენი პატივმოყვარეობა".

### რა მოსწონდა და რა არა



**დიოგენე ამბობდა, რომ როცა ხედავს მმართველებს, ექიმებსა და ფილოსოფოსებს, მაშინ ეჩვენება, რომ ადამიანი ყველაზე გონიერი არსებაა.** აი, როცა სიზმრების ამხსნელებს, მკითხავებს ან იმათ ხვდება, ვისაც მათი სჯერა, ან კი იმათ, ვისაც თავი მოსწონს თავისი სახელით ან სიმდიდრით, მაშინ კი ფიქრობს, რომ ადამიანზე სულელი არავინ არის.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## სამწუხარო ცნობა

### ბელგრადში 80 წლის მილორად პავიჩი გარდაიცვალა



გარდაიცვალა იუგოსლაველი (სერბი) პოეტი, მწერალი, პოსტმოდერნიზმისა და ე. წ. მაგიური რეალიზმის წარმომადგენელი, მთარგმნელი, XVII-XIX საუკუნეების სერბული ლიტერატურის ისტორიკოსი, სერბული ბაროკოსა და სიმბოლიზმის სპეციალისტი მილორად პავიჩი მიოკარდიუმის ინფარქტით გარდაიცვალა.

პავიჩი 1929 წლის 15 ოქტომბერს ბელგრადში დაიბადა. მისი ბავშვობა ნაცისტური ოკუპაციის პერიოდს დაემთხვა. 1949-1953 წლებში ბელგრადის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა. შემდეგ მიიღო დოქტორის ხარისხი ფილოსოფიასა და ლიტერატურის ისტორიაში. გარკვეულ ხანს პავიჩი სხვადასხვა უნივერსიტეტში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მუშაობდა სორბონაში, ვენის, ფრაიბურგის, რეგენსბურგისა და ბელგრადის უნივერსიტეტებში.

პირველი პოეტური კრებული, პალიმფსესტები, — 1967 წელს გამოსცა. გარდა ამისა, პავიჩი იბეჭდებოდა გაზეთებში, წერდა კრიტიკულ წერილებს, მონოგრაფიებს ძველი სერბული ლიტერატურის ისტორიისა და სიმბოლიზმის შესახებ, თარგმნიდა ლექსებს ევროპული ენებიდან.

პავიჩს პოპულარობა რომანმა „ხაზარულმა სიტყვის კონამ" (1984 წ.) მოუტანა. ეს წიგნი გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა. პავიჩის ნაწარმოებები უამრავ ენაზე ითარგმნა.

1991 წელს პავიჩი სერბეთის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრი გახდა. 2004 წელს იგი ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინეს.

პავიჩი, მშობლიურის გარდა, ფლობდა რუსულ, გერმანულ, ფრანგულ ენებს, ასევე რამდენიმე ძველ ენას. სერბულ ენაზე თარგმნა პუშკინი და ბაირონი. პავიჩი თარგმნილია ქართულადაც.

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +9 — +11 |
| ქუთაისი. | +11 — +12 |
| ბათუმი. | +11 — +12 |
| ზუგდიდი. | +8 — +12 |
| თელავი. | +7 — +10 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | — 1.6829 ლარი |
| 1 ევრო | — 2.5180 ლარი |
| 1 გირ. სტ. | — 2.8079 ლარი |
| 100 რუბლი | — 5.8698 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | — 4.3392 ლარი |
| 1 აზ. მან. | — 2.0963 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | — 2.1047 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | — 1.1397 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | — 2.4653 ლარი |



## ანეკდოტები

თუ თქვენს მიკრორაიონში ახალი ასფალტი დააგეს, ყველა სახლი შეღებეს, ახალი ღობეები დააყენეს, მაგრამ ესკორტით არავის ჩაუვლია, ესე იგი, თქვენ გერმანიაში ცხოვრობთ.

* * *

ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ქვეყანას მოუმწიფებლები და გონებასუსტები არ უნდა მართავდნენ, მაგრამ არჩევნების შედეგები მუდამ ამის საწინააღმდეგოა.



* * *

— როგორ არა გრცხვენიათ, თქვენ ისევ გოგოებს დასდევთ, თქვენი ბავშვები კი უკვე სკოლაში დადიან.

— თქვენი აზრით, მათ სკოლაში არ უნდა იარონ?

* * *

ადამიანსა და პირუტყვს შორის განსხვავება მათ მიერ სამყაროს განსხვავებული აღქმით გამოიხატება. პირუტყვები სამყაროს განუყოფლად აღიქვამენ, ადამიანები — გაუყოფლად.

## დღის კალენდარი

**1 დეკემბერი**

**26-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.**



| | |
|---|---|
| ამოდის 07.09 | ამოდის 08.13 |
| ჩადის 16.29 | ჩადის 16.49 |

**ხსენება ღირსისა მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისა, საკვირველთმოქმედისა (875წ. წმიდა წინასწარმეტყველ აბდიასი (IX ს. ქრისტეს შობამდე); მოწამე ვარლაამისა (დაახლ. 304წ; ღირსთა: ბალავარისა და იოდასაფისა — ინდოეთის მეფის ძისა და მამისა მისისა აბენიერ მეფისა (IVწ; მოწამე აზასი და მის თანა 150 მხედრისა (IIIწ; მოწამე ილიოდორესი (273წ.**

### დაიბადნენ:

**1881 — ირაკლი წერეთელი,** ცნობილი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), გარდაიცვალა 1959 წელს.

**1893 — სერგი მაკალათია,** ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1974 წელს.

**1906 — პიტერ კარლ ჰოლდმარკი,** ამერიკელი ინჟინერი, მისი პროექტები დაედო საფუძვლად ფერადი ტელევიზორის პირველ კომერციულ სისტემას, გარდაიცვალა 1977 წელს.

**1923 — მარია კალასი,** ცნობილი ბერძენ-იტალიელი მომღერალი, გარდაიცვალა 1977 წელს.

**1925 — ირინა არხიპოვა,** დიდი თეატრის სოლისტი, მომღერალი.

**1946 — ჯანი ვერსაჩე,** იტალიელი მოდელიერი, მოკლეს 1997 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1814 — დონასიენ ფრანსუა დე სადი,** ფრანგი მარკიზი, მწერალი, დაიბადა 1740 წელს.

**1918 — ედმონ როსტანი,** ფრანგი პოეტი და დრამატურგი, დაიბადა 1868 წელს.

### მოვლენები:

**1805** — აუსტერლიცის ბრძოლა. ნაპოლეონმა დაამარცხა რუსეთ-ავსტრიის არმია.

**1920** — თურქეთსა და სომხეთს შორის დაიდო ალექსანდროპოლის ხელშეკრულება, რომლითაც სომხეთმა უარი თქვა ტერიტორიებზე თურქეთის სასარგებლოდ.

**1942** — ჩიკაგოს მეცნიერთა ჯგუფმა ენრიკო ფერმის და არტურ კომპტონის ხელმძღვანელობით პირველად გახლიჩა ატომი.

**1971** — მარსის ზედაპირზე დაჯდა საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „მარს-3".

**1988** — ბანგლადეშში ციკლონის შედეგად ათასობით ადამიანი დაიღუპა და ხუთი მილიონი უსახლკაროდ დარჩა.

**1990** — დასავლეთ გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი გაერთიანებული გერმანიის კანცლერი გახდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**მონობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე.**

**ყირგიზეთი, ლაოსი, არაბთა გაერთიანებული საემიროები —** ეროვნული დღე.

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.